პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
3 ოქტომბერი
1939 წ.
№ 227 (5627)
ფასი 10 კაპ.

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს

მოწოდება ახალი საწარმოო გამარჯვებებისაკენ

ჩვენი დიადი ქვეყნის ათეული მილიონობით მშრომელებმა, ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულებმა, ფართოდ გაშალეს მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის დიადი სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებამ საუცხოო ნაყოფი გამოიღო, და მას ჩვენ ვხედავთ სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განუწყვეტელ განმტკიცებაში, ვგრძნობთ საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესებაში, რაც განუხრელად გრძელდება.

განსაკუთრებული შრომითი აღმავლობით მოცულია მთელი საბჭოთა ქვეყანა ჩვენს დღეებში, რომლებიც ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერება მსოფლიო ისტორიაში. მამაცმა წითელმა არმიამ ღირსეულად და სახელოვნად შეასრულა თავისი დიადი განმათავისუფლებელი ამოცანა. კრემლის ვარსკვლავების შუქი მოეფინა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიას, რომლებიც პოლონეთის შლიახტის ჩექმის ქვეშ გმინავდნენ. წითელი დროშები ფრიალებენ ლვოვში, ვილნოში, გროდნოში, ბრესტ-ლიტოვსკში, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ასობით და ათასობით სოფლებსა და ქალაქებში. 11 მილიონმა ჩვენმა თვისტომმა ძმებმა უკრაინელებმა და ბელორუსებმა, რომლებიც ბედის ანაბარა მიატოვეს პოლონეთის გაკოტრებულმა მესვეურებმა, მოიპოვეს მშვიდობიანობა, თავისუფლება და ახლა მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებით იწყებენ თავისი საამური, ბედნიერი ცხოვრების შენებას. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული სტალინური პოლიტიკა დღითიდღე უფრო-დაუფრო მეტად განამტკიცებს დიადი საბჭოთა კავშირის პოზიციებს მთელს მსოფლიოში. ბოლო მოეღო მტრობას ევროპის ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის—გერმანიასა და სსრ კავშირს შორის, მტრობას, რომელსაც აჩაღებდნენ სხვისი ხელით ნარის გლეჯის მოყვარულნი, ომის საზიზღარი გამჩაღებლები. დადებულია ურთიერთდახმარების ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის. პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ფხიზლად იცავენ საბჭოთა ხალხის ინტერესებს. და, ეხმაურება რა ამხ. მოლოტოვის მოწოდებას „პატიოსნად და თავდადებით ვიმუშაოთ ჩვენს პოსტზე“, მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც ამაყობს თავისი ახალი გამარჯვებებით, ამ დღეებში გვიჩვენებს შესანიშნავი შრომითი გმირობის მაგალითებს, განსაკუთრებული ძალით ცდილობს საყვარელი სამშობლოს სამეურნეო ძლიერებისა და თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებას.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის მოახლოვება თვითეულ საბჭოთა ადამიანში იწვევს კიდევ უფრო დიდ მისწრაფებას შრომითი საგმირო საქმეებისადმი. ჩვენს ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში, რკინიგზებზე, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მუშები, გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია უფრო მაღლა სწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, რომელსაც აწერია მესამე სტალინური ხუთწლედის ძლევამოსილად შესრულების ლოზუნგი. სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად საბჭოთა ადამიანების ამ მზადყოფნას საუცხოოდ გამოხატავს დღეს „პრავდაში“ გამოქვეყნებული შესანიშნავი დოკუმენტი—ორდენოსანი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივის წერილი მთელი ჩვენი ქვეყნის მუშებისა და მუშა ქალებისადმი, კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალებისადმი, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციისადმი.

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი ქარხნის კოლექტივი მოუწოდებს სსრ კავშირის მშრომელებს „აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავი ახალი გამარჯვებებით, ჩვენი მამაცი წითელი არმიის შესაფერისი, ჩვენი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის შესაფერისი გამარჯვებებით“.

კრასნიპროლეტარელებმა აიღეს კონკრეტული მნიშვნელოვანი ვალდებულებანი და ამით ყველას გვიჩვენებენ მაგალითს, თუ რისთვის უნდა ვიბრძოლოთ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში.

ჯერ ერთი, კრასნიპროლეტარელები ვალდებულებას იღებენ არა მარტო მთლიანად, არამედ **გადაჭარბებითაც შეასრულონ** მესამე სტალინური ხუთწლედის წლევანდელი — მეორე წლის **IV კვარტალის პროგრამა,** შეამცირონ თვითღირებულება და ამისკენ მოუწოდებენ სხვებსაც. შეჯიბრების ინიციატორთა მოწოდება უნდა გაიგონ თვითეულ საწარმოში, თვითეულ კოლმეურნეობაში და განსაკუთრებით იქ, სადაც ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ არის ჩამორჩენა. მთელი ქვეყანა ელის დონბასის, მოსკოვის რაიონის, ურალის, აღმოსავლეთის სახელოვანი მაღაროელებისაგან, ბაქოს და ნავთის ყველა ბასეინის მუშაკებისაგან, სამხრეთის, ცენტრისა და ურალ-კუზბასის მეტალურგებისაგან, კრივოიროგის მაღაროელებისაგან საბრძოლო მუშაობას, სათბობისა და მადნის ამოღების სწრაფად გადიდებას, თუჯისა და ფოლადის გამოდნობას, რომლებიც სჭირდება სახალხო მეურნეობას და წითელ არმიას. თვითეული მუშა და მოსამსახურე, სპეციალისტი, წარმოების მეთაური, მეურნეობის ხელმძღვანელი, სადაც არ უნდა მუშაობდეს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რომელ დარგშიაც **არ** უნდა შრომობდეს იგი, თავისი ღირსების საქმედ უნდა სთვლიდეს წლევანდელი წლის გეგმის შესრულებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას.

მეორე, კრასნიპროლეტარელები იღებენ ვალდებულებას სტახანოვური მოძრაობის განვითარებით, ქარხანაში ახლად მოსული ახალგაზრდა მუშების აღზრდით, წარმოების რაციონალიზაციით **გაადიდონ შრომის წლიური ნაყოფიერება 16 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 პროცენტისა.** ეს არის მეტად ძვირფასი ვალდებულება, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება ამჟამად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. შრომის ნაყოფიერების გადიდებით ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო გავადიდოთ და უნდა გავადიდოთ კიდეც პროდუქციის გამოშვება, გავადიდოთ ქვეყანაში სათბობის, ლითონის, ელექტროენერგიის, პურის, ქსოვილის, ფეხსაცმლის რაოდენობა, რომლებიც საჭიროა ჩვენი თავდაცვაუნარიანობის განსამტკიცებლად, წითელი არმიისათვის, მოსახლეობის სწრაფად მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მესამე, კრასნიპროლეტარელები პირობას იძლევიან **უფრო ფართოდ დანერგონ მრავალი დაზგის მომსახურება,** რომ მუშების ნაკლები რაოდენობით გადიდდეს პროდუქციის გამოშვება. მრავალი დაზგის მომსახურება წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გაზრდის დიდ რეზერვს. მრავალი დაზგის მომსახურება, პროფესიების შეთავსება—ეს არის სტახანოვური ინიციატივის ახალი გამოვლინება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენს მრეწველობას აქვს შესაძლებლობა დღითიდღე გაიზარდოს მუშა-ხელის ნაკლები რაოდენობის დროსაც.

მეოთხე, კრასნიპროლეტარელები იღებენ ვალდებულებას **მიაღწიონ სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიას** 10 პროცენტით გასულ წელთან შედარებით. სათბობის, ელექტროენერგიის, ლითონის, სხვადასხვა სახის ნედლეულის რაციონალურად, ფრთხილად ხარჯვა წარმოადგენს დიდ სახალხო - სამეურნეო ამოცანას. დანაკარგები უზომო ხარჯვისაგან, უყაირათობისაგან ჯერ კიდევ მეტად მნიშვნელოვანია. გასულ წელს მარტო მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატმა ნარჩენებზე დაკარგა 92 მილიონი მანეთი: ამ სახალხო კომისარიატის საწარმოებში ნედლეულის 17 პროცენტზე მეტი ნარჩენად მიდიოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი დანაკარგები მარტო მანქანათმშენებლობაში როდია. გამოანგარიშებულია, რომ შავ მეტალურგიაში მთელ იმ მადანზე, რომელიც ბრძმედებში მიდის, ცეცხლოიკის მტვრის შემცირებამ 20 პროცენტიდან 10 პროცენტამდე შეიძლება 1942 წელს დამატებით მოგვცეს 2 მილიონი ტონა თუჯი. წუნისაგან, ნაწვისაგან, სკრაპისაგან დანაკარგების შემცირებამ თუნდაც იმ დონემდე, რომელიც მიღწეულია მაგნიტოგორსკის ქარხანაში, შეიძლება მოგვცეს დამატებით 2 მილიონი ტონა ფოლადი. გადამწყვეტი ბრძოლა დანაკარგებთან, ყაირათიანი მოპყრობა თვითეულ კილოგრამ სათბობთან, ლითონთან, როგორც სახალხო დოვლათთან, მნიშვნელოვნად გაადიდებს ჩვენს სიმდიდრეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ფოლადის თვითეული დაზოგილი ტონა განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობას.

მეხუთე, კრასნიპროლეტარელები ისახავენ ამოცანას **გააფართოონ ქალთა შრომის გამოყენება,** IV კვარტალში ქარხანაში სამუშაოდ ჩააბან არანაკლებ 100 ქალისა, მოამზადონ მათგან მაღალი კვალიფიკაციის მუშა ქალები. ამჟამად ყველგან თავს იჩენს ქალების მისწრაფება წავიდნენ წარმოებაში. საბჭოთა პატრიოტი ქალების განწყობილება საუცხოოდ გამოსთქვა ლიპეცკის მოტორების შემკეთებელი ქარხნის სტახანოველმა ქალმა ამხ. ვოსტრიკოვამ, რომელმაც ვორონეჟის საოლქო გაზეთ „კომუნაში“ დასწერა: „თუ ჩვენი ქმრები ფრონტზე წავლენ, ჩვენ, ქალები, ვალდებული ვართ დავიკავოთ მათი ადგილები ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში...“ ქალები მიდიან სამუშაოდ ორთქლმავლებზე, ტყის დამუშავებაზე, თევზის საჭერად. ისინი დგებიან მარტენის ღუმელებთან. ისინი ეუფლებიან ურთულესი დაზგებისა და აპარატების ტექნიკას. ისინი თავიანთ თავს ამზადებენ ბრიგადირების, ოსტატების, სამეთაურო პოსტებზე. საჭიროა ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი მოწინავე საბჭოთა ქალების ინიციატივას და შესაძლებლობა მივცეთ მათ დაეუფლონ ახალ პროფესიებს წარმოებაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში.

უეჭველია, რომ ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივის მოწოდება ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს მთელს საბჭოთა ქვეყანაში. სსრ კავშირის მშრომელნი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა, ახალი სახელოვანი საქმეებით შეამკობენ ჩვენს სამშობლოს, გაადიდებენ მის ძლიერებას ახალი საწარმოო გამარჯვებებით!

„პრავდის“ მოწინავე, 1/X.

წითელპროლეტარელთა გამოწვევა მიღებულია

მოსკოვის ქარხანა „კაუჩუკში“ 1 ოქტომბერს აჯამებდნენ ქარხნის მიერ სექტემბერსა და მესამე კვარტალში ჩატარებული მუშაობის შედეგებს. ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა სექტემბრისა და კვარტალის პროგრამები.

სადილობის შესვენების დროს საამქროებში წაკითხულ იქნა „პრავდაში“ გამოქვეყნებული წითელპროლეტარელთა წერილი. თავის გამოსვლებში მუშები მიესალმნენ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის მიმართვას.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულმა ამხ. გრაჩევმა სთქვა:

— ჩვენი ქარხანა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებშია. შემდგომში ჩვენ შევძლებთ ვაჩვენოთ მუშაობის ახალი ნიმუშები. ამაში უდიდეს დახმარებას გაგვიწევენ ათეული სტახანოვური სკოლები და ის სტახანოველები, რომლებიც ერთსადაიმავე დროს ორ-სამ ჩარხზე მუშაობენ. დღეს, წითელი არმიის მებრძოლებმა ღირსეულად გადასწყვიტეს დიდი განმათავისუფლებელი ამოცანა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში, ჩვენ კი სტახანოვური მუშაობით ჩვენს სამშობლოს კიდევ უფრო მძლავრ და მტრებისათვის მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ ვაქცევთ.

(საქდესი).

საქართველოს მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურენ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის წერილს — „ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს“.

გუშინ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა ამ წერილის განხილვისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები. მიტინგებზე გამოსული სტახანოველები, დამკვრელები, ინჟინერ-ტექნიკოსები თავის პატრიოტულ სიტყვებში მხურვალედ მიესალმებოდნენ და ერთსულოვნად იწონებდნენ ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა ინიციატივას, რათა ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს, და წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი. ისინი პირობას იძლევიან, რომ ბოლშევიკურად გაანაღდებენ აღებულ ვალდებულებებს, რაც უზრუნველჰყოფს ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების უფრო მეტად განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას.

ჩვენ თავდადებით და კიდევ მეტი ენერგიით ვიმუშავებთ, რათა უფრო გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი საყვარელი სამშობლო, ჩვენ ძვირფასი საჩუქრებით შევხვდებით სახელოვანი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს — ასეთია თბილისის მშრომელთა ერთსულოვანი პასუხი „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა მოწოდებაზე.

დეპოელების პასუხი

თბილისის სართქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა შორის უდიდესი სიხარული გამოიწვია მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის მოწოდებამ, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს.

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის წერილის საპასუხოდ გუშინ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, სართქლმავლო დეპოს კლუბში ჩატარდა სახელდახელო მიტინგი, რომელზეც აღნიშნული წერილის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა სართქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. გეტაშვილი.

სიტყვით გამოსულმა, დეპოს მეორე კომპლექსური ბრიგადის საუკეთესო სტახანოველმა — ზეინკალმა ამხ. გ. ბერიაშვილმა, მოიწონა რა ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის ინიციატივა, განაცხადა, რომ ფართოდ გამოიყენებს სტახანოვური მუშაობის მეთოდებს და 24 ორთქლმავლის ნაცვლად მისი ბრიგადა ყოველთვიურად რემონტიდან გამოუშვებს 28 ორთქლმავალს.

სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს ღირსეულად შევხვდები, — ამბობს კრივონოსელი მემანქანე ამხ. ა. მამაჯანაშვილი. — ჩემს ორთქლმავალს თვალისჩინივით მოვუვლი, არ დავაყენებ რემონტისათვის გარეცხვიდან გარეცხვამდე. მივცემ ჩვენს ქვეყანას სათბობი მასალის საგრძნობ ეკონომიას და თბილისი-ახტაფის გადასარბენზე ორი ორთქლმავლით სისტემატურად წავიყვან მძიმეწონიან მატარებლის შემადგენლობას, რომლის წონა 3.000 ტონა იქნება.

ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა კრივონოსელმა მემანქანეებმა ამხ. ა. მოროზოვმა, ს. ტუსიშვილმა, მექვაბე ვ. მიხანაშვილმა, შ. ხიზანაშვილმა და სართქლმავლო დეპოს უფროსმა ამხ. კ. სარალიძემ.

ჯანსაღი ორთქლმავლები სამშობლოს

გუშინ, დღის ოთხ საათზე, საყვირის ხმამ მუშებს შესვენება რომ აუწყა, თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ყველა საამქროში სახელდახელო მიტინგები გაიმართა.

ამწყობი, საქვაბე და სატენდერო საამქროების მუშები შეგროვდნენ ამწყობ საამქროში მოწყობილ მიტინგზე, სადაც წაკითხულ იქნა მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის წერილი ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მუშის, კოლმეურნის, მოსამსახურისა და ინტელიგენციისადმი — ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს.

სიტყვა აიღო ამწყობი საამქროს უფროსმა ამხ. კ. ბლახმა.

— ჩვენ მეტად ბედნიერ ეპოქაში ვცხოვრობთ. ყოველი დღე ჩვენში სიხარულისა და აღტაცების გამომწვევია. ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მიერ თვისტომი ძმების — დასავლეთელი უკრაინელებისა და ბელორუსების განთავისუფლება პოლონელი პანებისაგან მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა.

ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ კრასნიპროლეტარელების შესანიშნავ ინიციატივას, ამწყობი საამქრო წითელი არმიის წარმატებებისა და სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის აღსანიშნავად ვალდებულებას იღებს ოქტომბერში 33 ორთქლმავლის ნაცვლად სოციალისტური სამშობლოს ტრანსპორტს მისცეს 36 ჯანსაღი ორთქლმავალი, — განაცხადა ამხ. ბლახმა.

— საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხ. **ვ. მოლოტოვმა** ჩვენ პატიოსანი და თავდადებული შრომისაკენ მოგვიწოდა. ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის წერილისა და წითელი მეომრების ბრწყინვალე გამარჯვებების საპასუხოდ ჩემი ბრიგადა 26 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულებს თვიურ გეგმას — ორთქლმავლის 9 ქვაბის ნაცვლად დაამზადებს 12 ქვაბს და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავს, — სთქვა საქვაბე საამქროს ბრიგადირმა ამხ. ივ. ქებაძემ.

სატენდერო საამქროს ზეინკალმა ამხ. შ. ხურაშვილმა განაცხადა: ჩვენი მშობლიური წითელი არმიის წარმატებებსა და კრასნიპროლეტარელების მოწოდებას მე იმით ვუპასუხებ, რომ ოქტომბერში 13 ტენდერის მაგიერ 17 ტენდერს დავამზადებ.

სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს აგრეთვე ამხ. მ. იაგორაშვილმა, ალ. ქამერაშვილმა, გრ. იუშკევიჩმა, ივ. სელიხოვმა, ვლ. საჩკოვმა, ს. ამიროვმა, მ. შავლაკაძემ, ს. ლისენკომ, ირ. უხუგულაშვილმა, ი. ჩერკასოვმა, ალ. თოდრიამ და სხვ.

ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას იღებს სტახანოვური მუშაობის გაშლით, მრავალ დაზგაზე მუშაობით და ქალთა შრომის ფართოდ გამოყენებით ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდეს სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს — სამშობლოს მისცეს რაც შეიძლება მეტი და ჯანსაღი ორთქლმავლები.

წითელპროლეტარელთა მოწოდების პასუხად

ხარკოვი, 1 ოქტომბერი (საქდესი). დღეს ორდენოსან ქარხანა „სვეტ შახტიორას“ საამქროებში ხალხმრავალი კრებები გაიმართა. მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა დიდი აღფრთოვანებით განიხილეს მოსკოვის ქარხანა „წითელი პროლეტარის“ კოლექტივის მოწოდება—ღირსეულად შევეგებოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს. საამწყობო საამქროს კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა წარჩინებულმა სტახანოველმა ამხ. კულიკმა.

— ჩვენმა საყვარელმა წითელმა არმიამ,—სთქვა მან,—გმირულად გაანთავისუფლა პოლონელი პანების უღლისაგან ჩვენი ძმები დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში და ბედნიერი ცხოვრება მიუტანა მათ. ჩვენ, სტახანოველები, ვემზადებით რა დიდი ოქტომბრის XXII წლისთავისათვის, თავდადებით ვიმუშავებთ. წინადადება შემომაქვს ვიკისროთ ვალდებულება, რომ საამქროს თვიური გეგმა მექანიზმების გამოშვების ხაზით შევასრულოთ 25 ოქტომბრისათვის.

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საამქროს მთელმა კოლექტივმა.

მხურვალედ გამოეხმაურნენ წითელ პროლეტარელთა მოწოდებას მექანიკური საამქროს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებმაც იკისრეს გეგმის გადამეტებით დაამზადონ ოქტომბერში საშახტო მექანიზმების 30 ტონა სათადარიგო ნაწილები.

თავის რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივი აცხადებს:

„ვკისრულობთ შევასრულოთ წლიური გეგმა 11 თვეში, შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტით ავამაღლოთ შრომისნაყოფიერება და 6,5 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

სახელოვანი წითელი არმიის გამარჯვებით აღფრთოვანებულნი ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიისა და ამხანაგ სტალინის გარშემო. საყვარელ სამშობლოს ახალ საწარმოო საჩუქრებს მივუძღვნით და ამით კიდევ უფრო განვამტკიცებთ მის ძალასა და ძლიერებას“.

კამოს სახელობის ქარხანაში

2 ოქტომბერს, მუშაობის დასრულების შემდეგ, კამოს სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი. პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. იუზეფოვიჩმა შეკრებილთ გააცნო ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის მოწოდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის ღირსეულად შეხვედრის შესახებ.

პირველმა ილაპარაკა შემკრები საამქროს უფროსმა ამხ. კ. გრძელიძემ. მან სთქვა:

— ჩვენი გმირული წითელი არმია ღირსეულად და სასახელოდ ასრულებს თავის მისიას, თავისუფლება და სიხარული მიაქვს დასავლეთი ბელორუსიისა და დასავლეთი უკრაინის მშრომელებისათვის. ჩვენი მოვალეობაა ვიმუშაოთ უფრო მეტი ენერგიით, რათა ჩვენი სამშობლო კიდევ უფრო მძლავრი გავხადოთ. შემკრები საამქროს კოლექტივი, აღფრთოვანებული წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით, ვალდებულებას კისრულობს წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 10 სახარატო დაზგა.

მექანიკური საამქროს უფროსმა ამხ. შ. მერაბიშვილმა სთქვა, მექანიკური საამქროს კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს ოქტომბრის გეგმა 115 პროცენტით შეასრულოს, ხოლო IV კვარტალის გეგმა — 110 პროცენტით.

სტახანოველმა - მღარველმა ამხ. მ. გაბაიდულინმა იკისრა ვალდებულება IV კვარტალის გეგმა 500 პროცენტით შეასრულოს.

სტახანოველმა - ხარატმა ამხ. გ. სუნიაევმა განაცხადა, ოქტომბრის გეგმას 300 პროცენტით შევასრულებ და ორ დაზგაზე სამუშაოდ გადავალ.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე: ჩამომსხმელი საამქროს უფროსმა ამხ. გ. არუთინოვმა, სამჭედლო საამქროს უფროსმა ამხ. გ. ცვეტკოვმა, ზეინკალმა - სტახანოველმა ამხ. ი. თეთრაშვილმა და სხვ. ყველამ კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს წლიური პროგრამა გადამეტებით შეასრულოს 1 ნოემბრისათვის.

სოცშეჯიბრებაში იწვევენ ერევნის ტრამვაის მუშაკთა კოლექტივს

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის წერილმა შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებში. მიტინგმა, რომელიც ამ წერილს მიეძღვნა, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ტრამვაის მუშათა კოლექტივი მზად არის გეგმის გადამეტებითი შესრულებით უპასუხოს წითელი არმიის გამარჯვებებს, ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის 22 წლისთავს.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ამწყობი საამქროს სტახანოველმა გოგანეზოვმა, რომელსაც 35 წლის საწარმოო სტაჟი აქვს, განაცხადა:
— პირობას ვიძლევი, რომ ოქტომბრის დღესასწაულისათვის გეგმას 150 პროცენტით შევასრულებ, ვიბრძოლებ ვაგონების შეკეთების მაღალი ხარისხისათვის.

სტახანოველმა რუბენ არუთინოვმა და ინჟინერმა გრ. ჯიბუტმა აიღეს ვალდებულება ყველა საამქროს თავის დროზე მიაწოდონ საჭირო მასალა და აღკვეთონ მასალის უქონლობის გამო საამქროებისა და ცალკე სტახანოველების მოცდენა.

ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სტახანოველებმა მხითარიანმა, შ. ვახტანგიშვილმა და სხვებმა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია — ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს მუშაკთა კოლექტივი კისრულობს შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება 12 პროცენტით, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 8 პროცენტის ნაცვლად 11 პროცენტით, წლის დამლევამდე წარმოებაში ჩააბას 150 ქალი, გეგმის ზევით გადაიყვანოს 1 მილიონი მგზავრი, სათბობი მასალის ხარჯვა შეამციროს 8 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიისა — 5 პროცენტით.

აღნიშნულ ვალდებულებათა უკეთესად შესრულებისათვის სოცშეჯიბრებაში იქნა გამოწვეული ერევნის ტრამვაის მუშაკთა კოლექტივი.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. სელტერის დეპეშა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახკომის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელზე

სახკომსაბჭოს თავმჯდომარესა და
საგარეო საქმეთა სახკომს

მოლოტოვს

ტალინი მოსკოვი

სამშობლოში დაბრუნებული, გთხოვთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, მიიღოთ პირადად და გადასცეთ სსრ კავშირის ხალხთა ბელადს სტალინს, აგრეთვე სახალხო კომისარს მიქოიანს ესტონეთის მთავრობის გულწრფელი მადლობა პოლიტიკური და სამეურნეო მოლაპარაკების ბრძნული ხელმძღვანელობისათვის მოსკოვში და იმისათვის, რომ ბედნიერად დაგვირგვინეთ ეს მოლაპარაკება ახალი მეგობრული შეთანხმებით ჩვენს სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური და მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის. ამავე დროს გთხოვთ მიიღოთ გულწრფელი მადლობა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რაც მე და ჩემს თანამგზავრებს გაგვიწიეთ.

სელტერი, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახკომის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის დეპეშა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ სელტერის სახელზე

ესტონეთის საგარეო
საქმეთა მინისტრს

სელტერს

ტალინი

გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ბატონო მინისტრო, თქვენი გულთბილი მოსალმებისათვის და თქვენ მიერ გამოთქმული გრძნობებისათვის ესტონეთის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული შეთანხმების დადების გამო და ჩვენი საერთო მუშაობის გამო ამ შეთანხმების მოსამზადებლად ესტონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების შემდგომი თანამშრომლობისა და მშვიდობიანი განვითარების სასარგებლოდ. ნება მომეცით გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ახალი შეთანხმება შექმნის ხელსაყრელ პირობებს ესტონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების ამაღლებისა და გაფურჩქვნისათვის.

მოლოტოვი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახკომი.

უკანასკნელი ცნობები

ლატვიის მთავრობის გადაწყვეტილება

რიგა, 2 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ლატვიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, მოისმინა რა საგარეო საქმეთა მინისტრის მუნტერსის მოხსენება პაქტის შესახებ სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის და გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ხელშეკრულებებმა იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანეს აღმოსავლეთი ევროპის პოლიტიკურ სიტუაციაში, რომ ლატვია აგრეთვე უნდა შეუდგეს თავის საგარეო ურთიერთობის გადასინჯვას და პირველ რიგში სსრ კავშირთან. მთავრობამ მიანდო საგარეო საქმეთა მინისტრს მუნტერსს დაუყოვნებლივ გაემგზავროს მოსკოვს, რათა პირდაპირი კონტაქტი დაამყაროს სსრ კავშირის მთავრობასთან. მუნტერსი მოსკოვს გაემგზავრება 2 ოქტომბერს.

ბელგიაში დაიწყო კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ

ბრიუსელი, 2 ოქტომბერი (საქდესი). ბელგიის სოციალისტური, კათოლიკური და მემარჯვენე პრესა განაგრძობს კამპანიას კომუნისტური პარტიის დასაშლელად. გაზეთი „პეპლი“ 1 ოქტომბრის ნომერში მოუწოდებს მთავრობას „მიიღოს ზომები კომუნისტების წინააღმდეგ“.

ახალი გაწვევა ინგლისის არმიაში

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, საღამოს, მეფემ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლითაც ინგლისის ქვეშევრდომი ყველა მამაკაცი, რომელიც 1 ოქტომბრისათვის ინგლისში იმყოფება და რომელსაც ამ დროისათვის შეუსრულდა 20-22 წელი, გაწვეულია ინგლისის არმიაში.

ამ განკარგულების შედეგად არმიაში გაწვეულ იქნება 250 ათასი კაცი. აქედან დაახლოებით 8 ათასი კაცი იქნება გაწვეული ფლოტში და 14 ათასი—სამხედრო-საჰაერო ფლოტში.

დასავლეთის ფრონტზე

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რემიხიდან (ლუქსემბურგი) იუწყება, გერმანიის ფრონტის ხაზს გადაღმა მდინარე მოზელის ველზე ათასობით ჯარისკაცები და მუშები ამჟამად დასავლეთის სიმაგრეების მშენებლობის დამთავრებაზე მუშაობენ. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ, მოიარა რა 1 ოქტომბერს 80 მილი ლუქსემბურგ-გერმანიის საზღვრის გასწვრივ, მას არ გაუგონია არცერთი სროლის ხმა. სამარისებური სიჩუმე სუფევს ამჟამად საარბრიუკენის რაიონშიც, სადაც უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა საარტილერიო სროლა. შენგენიდან ვასერბილიგამდე დასავლეთის სიმაგრეთა მშენებლობა უკვე დამთავრებულია. ვასერბილიგიდან ვალენდორფამდე ამჟამად აჩქარებული ტემპებით სწარმოებს ფორტების, ტყვიამფრქვევის დაბეტონებული ბუდეების, ყრილების, დაბრკოლებათა და მავთულხლართების მშენებლობა. ლუქსემბურგის საზღვრიდან კორესპონდენტს დაუნახავს დაახლოებით 30 ფორტი, რომელთა მშენებლობა სწარმოებს ფარულად ხის ნაგებობათა გადაღმა.

○

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთ „სენდეი ტაიმსის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ მოელიან საფრანგეთის ჯარის დიდ შეტევას დასავლეთ ფრონტზე საარბრიუკენის დაპყრობის მიზნით. ქალაქი საარტილერიო ცეცხლშია გახვეული სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. საარბრიუკენის დაპყრობა შესაძლებლობას მისცემს საფრანგეთის ჯარს გადალახოს მდინარე საარი და მჭიდროდ დაუახლოვდეს გერმანიის თავდაცვის ხაზებს.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ვ. ა. პლოტნიკოვი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ნორვეგიაში. (საქდესი).

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

პირველი დღეები

დასავლეთი უკრაინა, 29 სექტემბერი (საკდესის სპეცკორი). წითელი არმიის ნაწილების მოსვლამ, რომლებიც ელვისებური სისწრაფით მიუახლოვდნენ ხანსა და ბუგს, უმაგალითო ტემპით გააჩაღა აქ ცხოვრება. მაგრამ ცხოვრების ტემპი მაინც ჩამორჩება ჩვენი სახელოვანი ჯარის ნაწილების უმაგალითო სვლას.

ხალხი გაოცებულია მოტორიზებული წითელი არმიის სიდიადით, მისი მძლავრი და ამავე დროს გონივრული ტექნიკით. იგი აღტაცებულია ადამიანებით, „რომლებიც ლეგენდარული გახდნენ ჯერ კიდევ მოსვლამდე. წითელმა არმიამ ხალხი ისე სწრაფად გაანთავისუფლა ომისაგან, რომ ადამიანები ვერასგზით გონზე ვერ მოსულან ბედნიერებისაგან.

მთელ დღეებს ისინი ქუჩებში ატარებენ, მეასეჯერ იმეორებენ იმის ისტორიას, თუ „როგორ მოხდა ეს". თვითეული აუცილებლად გიამბობთ, როგორ იჯდა შინ, როგორ გავრცელდა პირველი ხმები წითელი არმიის მოახლოვების შესახებ, როგორ განაცხადეს უარი ბრძოლაზე პოლონელმა ჯარისკაცებმა, როგორ ისმენდნენ მცხოვრებნი სარდაფებში მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმულ სიტყვას და იგრძნეს, რომ გადარჩენილი არიან, როგორ დაინახეს პირველი საბჭოთა ჯავშნიანი მანქანა, როგორ გადმოვიდა მანქანიდან სიმპატიური, მოღიმარი მეთაური, როგორ შემოვიდნენ ქალაქში პირველი ტანკები, როგორ ადიოდნენ ტანკებზე ბავშვები, რომ ცოტა გაევლოთ ტანკებით. ყოველივე ეს იმას ჰგავდა, რომ სიკვდილმისჯილი განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ერთი წუთით ადრე მოულოდნელად გაანთავისუფლონ.

უმაგალითო სისწრაფე, მოქმედებათა სისწრაფე — აი უკანასკნელი ამბების პირველი თავისებურობა, რამაც მოსახლეობა განაცვიფრა.

მეორე თავისებურობა, რომელიც ისტორიას არ ახსოვს, — ეს არის პოლონელ ჯარისკაცთა დამოკიდებულება ჩვენი არმიისადმი. ბევრ შემთხვევაში ისინი უარს აცხადებდნენ თავიანთი ოფიცრების პირდაპირი ბრძანების შესრულებაზე, უარს აცხადებდნენ ებრძოლნათ წითელი არმიის წინააღმდეგ და ჩვენს მებრძოლებს ხვდებოდნენ როგორც თავიანთ მხსნელებსა და ძმებს. ოფიცრები აღმოჩნდნენ სრულიად იზოლირებულნი, დაბნეული ერთი მუჭა ადამიანები. როცა ოფიცრები ტყვედ მოჰყავდათ, ისინი მხოლოდ ერთ რამეს თხოულობდნენ — კარგი დამცველები მოგვეცით. ხალხის ეშინოდათ.

ამ დღეებში, ტყეში, სადაც ჯერ კიდევ პოლონეთის ჯარის ნაშთები დაეხეტებოდნენ, საბჭოთა ერთ მოტოციკლისტს — მეკავშირეს გარს შემოერტყა პოლონეთის ქვეითი ჯარის საკმაოდ დიდი ქვედანაყოფი. მას რევოლვერები და შაშხანები მიაღირეს, მაგრამ მეკავშირემ უდიდესი სიმშვიდე შეინარჩუნა. მან სთქვა:

— თქვენ ორი შესაძლებლობა გაქვთ — დამხვრიტოთ ან ტყვედ დამნებდეთ. პოლონეთის არმია აღარ არსებობს, ამიტომ გირჩევთ დამნებდეთ.

და ისევე, როგორც ლვოვში, აქ, ტყეში, ჯარისკაცებმა აიძულეს ოფიცრები კაპიტულაცია მოეხდინათ.

შეიძლება დავასახელოთ არა ერთი ათეული ასეთი შემთხვევა.

ბოლოს, მესამე ყველაზე საკვირველი თავისებურობა გამანთავისუფლებელი კამპანიისა — ეს არის წითელი არმიის მებრძოლი.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, ყოველთვის ვიცოდით, თუ რას წარმოადგენს წითელარმიელი, რომელსაც სიყვარულითა და მზრუნველობით ზრდის მთელი ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ვიცოდით, რომ იგი დისციპლინებული და მამაცია ბრძოლაში, გათვითცნობიერებული და კულტურულია. წითელარმიელის ყოფაქცევამ დასავლეთ უკრაინაში ჩვენც კი გაგვაოცა. ხალხის შეგნებაში საუკუნეებით იქმნებოდა წარმოდგენა ჯარისკაცზე. ჯარისკაცი უბედურებაა, სტიქიური უბედურება, ჯარისკაცი კალიასავით გადაუვლის ქვეყანას, უკან სტოვებს ნანგრევებს, დაცარიელებულ ბეღლებსა და ზანდუკებს, გათელილ ყანებს, შეშინებულ ბავშვებსა და პატივახდილ ქალებს.

აქ კი უეცრად ხალხმა დაინახა ამ ხალხივით უბრალო, კარგი ადამიანები, მუშები, გლეხები, ინტელიგენტები, ალერსიანი და თანაც უაღრესად განვითარებული ადამიანები, რომლებმაც იციან დიადი სიმართლე და იციან ამ სიმართლის ძალიან უბრალოდ და გასაგებად ახსნა. პირველ დღეებში ლვოვის ქუჩებში თვითეული წითელარმიელის ირგვლივ თავს იყრიდა დიდძალი ხალხი და ათასნაირ კითხვებს აძლევდა მას. თვითეული მებრძოლი მთელი აგიტპუნქტი ხდებოდა, დინჯად და მარტივად უხსნიდა ხალხს, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება, მოუთხრობდა ჩვენი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის, სტახანოვური მოძრაობისა და სტალინური კონსტიტუციის შესახებ. პანების მონობაში ხალხი ცხოვრობდა როგორც წყვდიადში, მან არსებითად არაფერი იცოდა ჩვენი ქვეყნის შესახებ, და ახლა წითელარმიელის ყოველი სიტყვა მისთვის სრულიად ახალი იყო.

ევგენი პეტროვი.

ცხოვრება ამბებით არის სავსე

სარნი, (დასავლეთი უკრაინა), 1 ოქტომბერი (საკდესი). დილიდან გვიან საღამომდე ღიაა იმ შენობის კარი, სადაც მოთავსებულია ქალაქ სარნის დროებითი მმართველობა. აქ დახმარებისა, შემწეობისა და რჩევის მისაღებად მოდიან ქალაქისა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებნი.

მარტო ერთ დღეს—29 სექტემბერს—მმართველობამ, რომელსაც ამხ. მიშჩენკო მეთაურობს, მიიღო 400-ზე მეტი მოქალაქე—მუშები, გლეხები, მასწავლებლები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

თავმჯდომარის ოთახში შედის 4 ქალი—საგარეუბნო სოფლის მცხოვრებნი. ისინი უამბობენ თავმჯდომარეს, რომ სოფლიდან გაქცევისას პოლონელი ოფიცრები მხეცურად გაუსწორდნენ ღარიბებს გლეხებს. ოფიცერთა მიერ გაძარცული გლეხთა ოჯახები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. ბავშვები უფეხსაცმლოდ არიან. ქალებს დროებითი მმართველობის საწყობიდან ახალი ფეხსაცმელები მისცეს მათი ბავშვებისათვის.

ქალებს სცვლის სოფელ ტრისკის გლეხთა დელეგაცია. ისინი მოვიდნენ რჩევის მისაღებად იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ გაქცეული მემამულის სახლი. მმართველობის წევრებმა მოითათბირეს და ურჩიეს დელეგაციას ერთ სახლში მოაწყონ სასოფლო კლუბი, ხოლო მეორეში — სკოლა.

მოდიან სულ ახალ-ახალი მოქალაქენი. ზოგნი იტყობინებიან, თუ სად იმალებიან პოლონელ ოფიცერთა ჯგუფები, მეორენი მმართველობას ეკითხებიან, შეიძლება თუ არა დასთესონ მემამულეთა მიწები, მესამენი გაზეთებს თხოულობენ. იურისტების ჯგუფი სამუშაოს თხოულობს.

ამავე დღეს გაიმართა მმართველობის მორიგი სხდომა. არჩევდნენ საკითხებს ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზის აღდგენისა, მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციისა და კულტურულ - მასობრივი მუშაობის შესახებ.

სარნის მცხოვრებნი აქტიურად ეხმარებიან მმართველობას მის დიდსა და რთულ მუშაობაში. მუშათა რაზმები წესრიგს იცავენ ქალაქში. ასობით ადამიანები მუშაობენ ხიდების, გზებისა და შენობების შეკეთებაზე.

ცხოვრება ამბებით არის სავსე. გამოვიდა გაზეთ „ჩერვონი შლიახის" პირველი ნომერი. სკოლებში დაიწყო სწავლა უკრაინულ ენაზე. გაიმართა მასწავლებელთა სამაზრო კონფერენცია, რომელსაც 500 კაცი დაესწრო.

ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ებმებიან

მეჟერიჩი (დასავლეთი უკრაინა), 28 სექტემბერი (საკდესი). გზის ნაპირას ჩამწკრივებულია განზე გადახრილი ქოხები, რომლებიც დიდიხანია არ შეუთეთრებიათ. ეს არის მეჟერიჩი — დასავლეთი უკრაინის ერთერთი სოფელი. ღატაკურად ცხოვრობდნენ გლეხები პოლონეთის შლიახტის უღელქვეშ. მეურნეობათა ნახევარზე მეტი უმიწაწყლო და მცირემიწიანი იყო. 40 კულაკსა და ოსადნიკს კი ჰქონდა 50-დან 70 დესეტინამდე მიწა თვითეულს, მემამულე სტეცკის — 5 ათასი დესეტინა. სოფელში არის სკოლა, მაგრამ მასში მხოლოდდამხოლოდ პოლონურ ენაზე ასწავლიდნენ, თუმცა სოფლის პოლონური მოსახლეობა სულ 6-7 პროცენტს შეადგენს.

პოლონეთის შლიახტის კაბალისაგან განთავისუფლებული სოფლის მცხოვრებნი ახალი ცხოვრების შენებას შეუდგნენ. შექმნილია გლეხთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას ყოფილი მოჯამაგირე ივანე ქურკო. კომიტეტი პირველ რიგში შეუდგა მემამულეთაგან კონფისკებული მიწის აღრიცხვას, უმიწაწყლო გლეხებისათვის მიწის დარიგებას.

სოფელში არის სასკოლო ასაკის 220 ბავშვი, მაგრამ სკოლაში მხოლოდ 130 სწავლობდა. იმისთვის, რომ ყველა ბავშვს მიეცეს სწავლის საშუალება, სკოლაში მოწყობილია პარალელური კლასები. ყოფილი მემამულის სახლში განზრახულია ებრაული სკოლის გახსნა. ახალი სკოლები გაიხსნა აგრეთვე მეზობელ სოფლებში. უმუშევარი მასწავლებლები გალინა სინიუკი, შტილერმანი, ანდროსიუკი და სხვები ენტუზიაზმით შეუდგნენ მუშაობას.

უუფლებო, პანების პოლონეთში დაჩაგრული უკრაინელი ქალი ახლა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ებმება. სოფელ მეჟერიჩის გლეხთა კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია ღარიბი გლეხი ქალი ანა ჩუპრუკი.

სოფელში წესრიგის დასაცავად ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნილია მილიციის მოხალისე რაზმები, რომელთა შემადგენლობაშიაც არიან აგრეთვე ქალები — ყოფილი მოჯამაგირე ქალი ალექსანდრა პარფენიუკი, ანა მოგური და სხვ. რაზმები ეხმარებიან წითელ არმიელებს პოლონელ ოფიცერთა ბანდების დაჭერაში.

დიდ აქტივობას იჩენს ახალგაზრდობა. სოფელში უკვე მოწყობილია კომკავშირული უჯრედი.

მეჟერიჩმა — წარსულში სიღატაკის, უუფლებობისა და ჩაგვრის სოფელმა — ახალი თავისუფალი ცხოვრებით იწყო ცხოვრება.

მუშათა გვარდიის რაზმის კრება

პინსკი (დასავლეთი ბელორუსია), 1 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ მოეწყო ქალაქის იმ მშრომელთა კრება, რომელნიც მუშათა გვარდიის რაზმში შევიდნენ. კრებას 400-ზე მეტი კაცი დაესწრო.

მუშათა გვარდიის უფროსმა ადგილობრივმა კომუნისტმა ამხ. დოდიუკმა ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ჩაატარა რაზმმა 10 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ქალაქში წითელი არმია შევიდა. დაჭერილია ათობით გადამალული მტრები, ლიკვიდირებულია ოფიცერთა ცალკეული ჯგუფები, მოწყობილია საწარმოთა, ფოსტა - ტელეგრაფისა და სხვა დაწესებულებათა დაცვა. მოსახლეობა აქტიურად ეხმარება მუშათა გვარდიას ბანდიტებისაგან ქალაქისა და მისი მიდამოების გაწმენდაში.

კრებაზე მოჰყავდათ წითელი არმიის წარმომადგენლებისა და ქალაქის დროებითი მმართველობის მიერ ჩატარებული შემოქმედებითი მუშაობის ფაქტები. ქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. ამუშავდა სამრეწველო საწარმოები—საში ფანერისა და ორი ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ასანთის ფაბრიკა. სკოლებში მეცადინეობა განახლდა. საავადმყოფოში მოეწყო უფასო სამედიცინო დახმარება ნაკლებად უზრუნველყოფილ მცხოვრებთათვის. გაიღო თითქმის ყველა მაღაზია.

— ჯერ ჩვენი ქალაქი არასოდეს არ ყოფილა ასეთი მორთული და სადღესასწაულო, — განაცხადა კრების ერთერთმა მონაწილემ. — ქუჩებში ხალხი ჯგუფჯგუფად დგას, სახლები წითელი ალმებით არის მორთული, კინო-თეატრი გაჭედილია ხალხით. ფილმს „ჩვენ კრონშტადტელები ვართ" დღეში ოთხ-ოთხჯერ უჩვენებენ.

კრების მონაწილეებმა გადასწყვიტეს კიდევ უფრო განამტკიცონ დისციპლინა მუშათა გვარდიის რაზმის რიგებში, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლონ ქალაქში სრული წესრიგის დასამყარებლად.



დასავლეთ ბელორუსიაში. წითელარმიელები უჩვენებენ გოგონას ბელადის სურათს, რომელიც მოთავსებულია გაზ. „კრასნოარმეისკაია პრავდაში".

ფოტო ფ. ლევშინასი (საკდესის ფოტოკლიშე)

ფაბრიკა „ბალტიკის" მუშა-ქალები

ვილნო, 1 ოქტომბერი (საკდესის სპეცკორი). ბნელი, ვიწრო სადგომი. შეხუთული ჰაერი. მუშა-ქალთა გამხდარი, ფერმიხდილი სახეები, შემოფლეთილი ტანსაცმელი... ეს არის ფირმა „ბალტიკის" ფაბრიკა. აქ მზადდება თევზისა და ბოსტნეულის კონსერვები. ფირმის მეპატრონეებს საკმაოდ დიდი მოგება ჰქონდათ, მუშა-ქალებს კი უმნიშვნელო ნამცეცები ხვდებოდათ. ქალები 12-14 საათს მუშაობდნენ და თავიანთი შემოსავალი მაინც მხოლოდ ნახევრადმშიერი ცხოვრებისთვის ჰყოფნიდათ.

აი დამზადებული საქონლის გადამტან-გადმომტანი 24 წლის ფრიდა ლუნსკაია. მან წერა-კითხვა არ იცის. მისი შემოსავალი კვირაში 9-10 ზლოტს უდრის. ამდენსავე აკეთებს მასთან ერთად მომუშავე ქალი სეიფერი. მას 12 წლის ბავშვი ჰყავს. როდესაც სეიფერს ჰკითხეს წიგნებს კითხულობ თუ არაო, უპასუხა:

— ვკითხულობდი ოდესღაც, 10 წლის წინათ. სადღა მეცალა წიგნის კითხვისათვის. დღისით ფაბრიკაში ვარ, საღამოს კიდევ შინ სამუშაო მელოდება.

ოლღა გელფერი კონსერვის კოლოფების წმენდაზე მუშაობს. იგი კვირაში 10-14 ზლოტს იღებდა. ამ ფულით ცხოვრობდა 11 კაცისაგან შემდგარი მთელი მისი ოჯახი.

ფაბრიკის მეპატრონის შესახებ მუშა-ქალები აღშფოთებით ლაპარაკობენ. იგი ურცხვად დასცინოდა მათ. ზამთრობით, დილით, მუშაობის დაწყებამდე და ნედლეულის მოლოდინში მუშა-ქალები გასათბობად შედიოდნენ კანტორის დერეფანში. გაჩნდებოდა მადამ შუკშტელიშკაია და ლანძღვა-გინებით გამოჰყრიდა მათ ყინვაში.

მუშა - ქალებს აკრძალული ჰქონდათ პროფკავშირში ყოფნა. სონია მიხალევიჩი დაითხოვეს იმიტომ, რომ პროფკავშირში შესვლა გაბედა. იგი 6 წელიწადს უმუშევარი იყო და მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ მიიღეს ხელახლა ფაბრიკაში. პროფკავშირში შესვლისათვის სამუშაოდან დაითხოვეს აგრეთვე იურევიჩი, ამბინდერი, ვოლოვოდსკაია და სხვები. ახლა ისინი ყველანი მიღებული არიან სამუშაოზე. მიხალევიჩი და კიდევ ერთი მუშა-ქალი პინკუსი ახლა არჩეული არიან ქალაქის დროებითი მმართველობის მუშაობის ხელის შემწყობ ორეულში.

ფაბრიკაში არჩეულია მუშათა კომიტეტი. კომიტეტის წევრი პინკუსი აქტიური საზოგადო მუშაკი ხდება. იგი მივიდა დროებითი მმართველობის თავმჯდომარესთან და სთხოვა, მოგვეცით ფაბრიკისათვის სატვირთო მანქანები თევზის გადმოსაზიდადო. გარდა ამისა, იგი მუშათა გვარდიის მეოთხე ბატალიონში ირიცხება.

ახალ ცხოვრებას შეუდგნენ დაბეჩავებული, შიმშილითა და გაჭირვებით დატანჯული მუშა-ქალები.

სიყვარულით ლაპარაკობენ ისინი საბჭოთა კავშირზე, წითელ არმიაზე. ისინი მზად არიან მთელი საათობით მოისმინონ საბჭოთა მუშა-ქალების, მფრინავი ქალების, დირექტორების, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და სოციალისტური შრომის გმირი-ქალების ცხოვრების ამბავი. და წარსულის სიმწარეს სცვლის დღევანდელი დღის სიხარული, ხვალინდელი დღის რწმენა.

მ. ალესკოვსკი

უმიწაწყლო გლეხები მიწას იღებენ

კრილოვო (დასავლეთი უკრაინა), 1 ოქტომბერი (საკდესი). სოფელ კრილოვოს გლეხთა კომიტეტი, რომელსაც ყოფილი მოჯამაგირე ვასილ სტეპანენკო მეთაურობს, შეუდგა მემამულეთა მიწის განაწილებას.

სოფლის გლეხთა 90 პროცენტი უმიწაწყლო იყო ან მცირე მიწის მქონე იყო, მემამულე ზელინსკი კი ორი ათას ჰექტარ მიწას ჰფლობდა. ახლა ამ მიწას მშრომელ გლეხობას აძლევენ.

გლეხ მიხეილ დობროვოლეცის ოჯახში შვიდი კაცია. მაგრამ მას ერთი ნაჭერი სახნავი მიწაც კი არ მოეპოვებოდა. სიხარულით შეიტყო დობროვოლეცმა, რომ გლეხთა კომიტეტმა გადასწყვიტა მისცეს მას 5 ჰექტარი მიწა და ერთი ძროხა.

მემამულის სახლის ფართო ოთახებში ღარიბი გლეხის ივანე გორდიენკოს ოჯახი შეასახლეს. მას ერთიმეოთხედი ჰექტარი სახნავი მიწა ჰქონდა, მაგრამ ამ ერთი ნაკვეთი მიწის დათესვისთვისაც კი კაბალურ პირობებში უხდებოდა თესლის სესხება პანისაგან.

ამჟამად გორდიენკომ 4½ ჰექტარი მიწა და ერთი ძროხა მიიღო.

გლეხთა კომიტეტი თესლს ურიგებს ღარიბ გლეხებს საშემოდგომო თესვისათვის. ხვნისათვის პანების ყოფილი მამულების კუთვნილ ცხენებს იყენებენ.

ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილი ალბომი

დამატებითი ტირაჟი დასავლეთ უკრაინისათვის

სასწავლო - პედაგოგიური გამომცემლობა უშვებს ტ. გ. შევჩენკოსადმი მიძღვნილ მდიდრად დასურათებულ ალბომს. ალბომი ნათლად ახასიათებს უკრაინული ლიტერატურის ფუძემდებლის მთელ შემოქმედებითს გზას.

ალბომის დამატებითი ტირაჟი—5 ათასი ცალი — იგზავნება დასავლეთ უკრაინაში, რომლის მშრომელებიც არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენენ დიდი რევოლუციონერი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. (საკდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი

(სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილის პროფ. **ს. ჯანაშიას** მოხსენებიდან)

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის გაუქმების შემდეგ, 1935 წელს ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებში დაარსდა მეცნიერებათა აკადემიის ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ფილიალები. ამ დროიდან დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის განვითარება. ქართველი ხალხის საამაყო შვილის **ლ. ბერიას** და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური მზრუნველობით მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი გადაიქცა დიდ სამეცნიერო დაწესებულებად, რომელმაც თავისი არსებობის მოკლე ხანში ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობა ჩაატარა.

ახლა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შემადგენლობაში იმყოფება აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის, მათემატიკური, ბოტანიკური, ქიმიური, გეოფიზიკური და აფხაზეთის ენისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ორი სამეცნიერო-კვლევითი სექტორი — ზოოლოგიური და ენერგეტიკული — და აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. ყველა ინსტიტუტი და სამეცნიერო-საკვლევო სექტორი უზრუნველყოფილია ლაბორატორიებით, მდიდარი ბიბლიოთეკებით, სადგურებით, სახელოსნოებით, რომელნიც მომარაგებულნი არიან საუკეთესო აპარატურით. ამ მხრივ აღსანიშნავია აბასთუმნის ობსერვატორია, რომელიც პულკოვოს ობსერვატორიის შემდეგ საუკეთესოდ ითვლება საბჭოთა კავშირში.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს აქვს საკუთარი სტამბა, რომელიც ერთი საუკეთესოთაგანია თბილისში.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ინსტიტუტები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მოკავშირე რესპუბლიკების ინსტიტუტებს შორის, ხოლო საქართველოსმცოდნეობის დარგში მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი უძლიერესია მსოფლიოში.

ამჟამად მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში 211 მეცნიერ თანამშრომელი მუშაობს, მათ შორის 19 დოქტორია, 69 — მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით და 22 პროფესორი.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის უკანასკნელი არჩევნების დროს საქართველოს ფილიალის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა საუკეთესო შეფასება მიიღეს. პროფ. ივ. ჯავახიშვილი და პროფ. ნ. მუსხელიშვილი არჩეულ იქნენ აკადემიკოსებად, ხოლო პროფ. ა. შანიძე და გ. ახვლედიანი — აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დაწესებულებებს ყოველწლობით იმატება საკუთარი კადრები. იზრდებიან მაღალკვალიფიციური მეცნიერ მუშაკები და ლაბორანტები.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში ამჟამად 50 ასპირანტი მუშაობს. ყოველწლიურად უმჯობესდება ასპირანტთა შორის მუშაობა. ბევრმა მათგანმა მოიპოვა კანდიდატის ხარისხი ასპირანტურის დამთავრებისთანავე. ასეთები არიან ნ. ჯაფარიძე, ე. დავითაშვილი, კალანდია, ი. თავბერიძე, მ. შიშნიაშვილი და სხვ.

მეცნიერ მუშაკების, ახალგაზრდა კადრების მაღალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კომკავშირის 20 წლისთავის აღსანიშნავად მეცნიერ მუშაკების საკავშირო შეჯიბრებაში საქართველოს ფილიალის 6 ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკმა საკავშირო პრემიები მიიღო.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დაწესებულებები პერიოდულად აქვეყნებენ თავის ნაშრომებს, ამჟამად მუშავდება საკითხი მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ცენტრალური ორგანოს გამოსაცემად. პერიოდულ გამოცემათა გარდა სხვადასხვა ინსტიტუტებს აქვთ აგრეთვე სერიული გამოცემები. ასეთია: — „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია", „ქართველური ენების ლექსიკა", სასკოლო ლექსიკონების სერია (ქართულ-რუსული ლექსიკონი), „მასალები ქართველური ენების შესწავლისათვის" (უკვე გამოსული „სვანური პროზა" და „სვანური პოეზია"), „ქართული სამართლის ძეგლები" (უკვე გამოსულია „ვაჰანის განგება") და სხვ. გარდა ამისა მონოგრაფიების სახით იბეჭდება ცალკეულ მეცნიერ მუშაკების შრომები.

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობამ კარგად დააფასა ის ღონისძიებანი, რომლებიც ჩატარებული იყო რუსთაველის, პუშკინის, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. 1938 წელს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში შემავალმა ინსტიტუტებმა ჩაატარეს 203 მეცნიერული მოხსენება. გარდა ამისა, 50-ზე მეტი მოხსენება ჩატარებული წითელი არმიის ნაწილებში, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და კოლმეურნეთათვის.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში შემავალი ინსტიტუტები ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ. გეოფიზიკური ინსტიტუტი დიდ მუშაობას ეწევა მიწისძვრების მინერალური და სამკურნალო წყლების თვისებების შესწავლაში, სხვადასხვა საკითხების დამუშავებაში, რაც მას საბჭოთა კავშირის მასშტაბით თავისი დარგის საუკეთესო ინსტიტუტების რიგში აყენებს.

მეტად მნიშვნელოვანია აბასთუმნის ობსერვატორიის მუშაობაც. ამასწინად მცირე პლანეტების შემსწავლელმა საერთაშორისო ცენტრმა (ბერლინში) გამოაქვეყნა უკანასკნელი წლის ცნობა, სადაც აღნიშნულია ერთი მცირე ახალი პლანეტა, რომელიც აღმოაჩინა აბასთუმნის ობსერვატორიის მეცნიერ მუშაკმა ვაშაკიძემ. ობსერვატორიამ საბჭოთა კავშირში პირველმა შემოიღო ფოტოელექტრული დაკვირვების მეთოდი. მიღებულ გამოცდილებას აბასთუმნის ობსერვატორია ამჟამად უზიარებს ყაზანისა და მოსკოვის ობსერვატორიებს. საერთაშორისო ასტრონომიული ჟურნალი ხშირად აქვეყნებს აბასთუმნის ობსერვატორიაში წარმოებული მუშაობის შედეგებს.

აღსანიშნავია მათემატიკური და აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტები. მათემატიკურ ინსტიტუტში მუშაობს ერთი აკადემიკოსი, ოთხი დოქტორი, მეცნიერების ათი კანდიდატი. თბილისის მათემატიკური ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის ამ დარგის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა შორის ერთის საუკეთესო ინსტიტუტთაგანს წარმოადგენს. საყოველთაოდ ცნობილია ამ ინსტიტუტის მუშაკების—აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის, პროფ. ვ. კუპრაძის, ვალფიშის, გოკიელის, მიქელაძის და სხვ. სახელები. ინსტიტუტს ჰყავს ნიჭიერი და კარგად მომზადებული ახალგაზრდობა, დოცენტ ვეკუას, მაღნარაძის, გორგიძის, რუხაძის, დოლიძისა და სხვ. სახით. ინსტიტუტის თანამშრომლებმა დასწერეს მთელი რიგი სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლებისათვის. ასეთია 1939 წელს გამოცემული აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის — „ანალიტიკური გეომეტრია", პროფ. ვ. კუპრაძის—„ინტეგრალური განტოლებანი" და სხვ.

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში მუშაობს ერთი აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის ორი წევრ-კორესპონდენტი, ექვსი დოქტორი, შვიდი პროფესორი და მეცნიერებათა ცამეტი კანდიდატი. ინსტიტუტში დაარსებულია ქართველური, კავკასიური და ზოგადი ენათმეცნიერების, საქართველოს და კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ლექსიკოლოგიის, სამეცნიერო ტერმინოლოგიის, ქართული ფილოლოგიის და მახლობელი აღმოსავლეთის ენების განყოფილებანი. თავისი შრომებითა და პროდუქციით ინსტიტუტმა უდიდესი ავტორიტეტი დაიმსახურა საბჭოთა კავშირის ყველა ჰუმანიტარული მეცნიერების ინსტიტუტთა შორის.

3 წლის განმავლობაში მარის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა 300 მეცნიერული შრომა დაამზადეს, რომელთა უმრავლესობა უკვე გამოქვეყნებულია. პირველ რიგში აღსანიშნავია ისეთი კაპიტალური შრომები, როგორიც არის აკად. ივ. ჯავახიშვილის — „ქართველური და კავკასიური ენების პირვანდელი ბუნება და ნათესაობა", პროფ. არნ. ჩიქობავას — „ჭანურ-მეგრულ - ქართული შედარებითი ლექსიკონი", პროფ. ა. შანიძის — „ალბანური ანბანი", პროფ. ვ. თოფურიას და ა. შანიძის რედაქციით დამუშავებული და გამოცემული სვანური დიალექტოლოგიური და ფოლკლორული ტექსტები, გ. ჩიტაიას და ვ. ბარდაველიძის „ხევსურული ორნამენტი" და სხვ.

დიდი მუშაობა ჩაატარა ინსტიტუტმა სახელმძღვანელოების მომზადების დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ენის სახელმძღვანელოები სომხური, აფხაზური, რუსული, აზერბაიჯანული და ოსური სკოლებისათვის სათანადო ლექსიკონების თანდართვით.

ინსტიტუტი დიდ მომსახურებას უწევს სხვადასხვა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. დიდი მუშაობა მიმდინარეობს კავკასიისმცოდნეობის დარგში.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს აგრეთვე საანგარიშო პერიოდში ფილიალის სხვა ინსტიტუტებმა — ბოტანიკურმა, ქიმიურმა, ზოოლოგიურმა და აფხაზეთისამ.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდება. ამის დამადასტურებელია ის დიდი ნდობა, რომელიც მას საკავშირო სახკომსაბჭომ გამოუცხადა. თბილისში მიღებულია ცნობა, რომ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკისა და აკად. ნ. მარის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტებს უფლება მიეცა მეცნიერ მუშაკებს მიანიჭონ დოქტორისა და კანდიდატების ხარისხი, ხოლო ქიმიურსა და ბოტანიკურ ინსტიტუტებს — მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმისა და მის სისტემაში მყოფი ინსტიტუტების მუშაობას საანგარიშო პერიოდში ჰქონდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანიც.

იმ ყოველდღიური დახმარებით, რომელსაც მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს უწევდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, უფრო დიდი შედეგების მიღება შეიძლებოდა.

სუსტად მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების დანერგვა მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ქიმიურმა ინსტიტუტმა სამი წლის განმავლობაში 42 გამოყენებითი ხასიათის თემა დაამუშავა, მაგრამ ისინი წარმოებაში ჯერ კიდევ არ არიან გამოყენებულნი. არადამაკმაყოფილებელი იყო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის კავშირი სახალხო კომისარიატებთან და სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან. მუშაობის ფართოდ გაშლას ხელს უშლიდა მეცნიერ მუშაკებს შორის გავრცელებული შეთავსებითი მუშაობა. შეთავსებით მომუშავეთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდი იყო აკად. ნ. მარის სახელობისა და, განსაკუთრებით, მათემატიკის ინსტიტუტებში. სუსტად იყო დაყენებული მუშაობა ასპირანტთა შორის. კურსდამთავრებული ასპირანტები აგვიანებდნენ დისერტაციების დაცვას. ასე, მაგალითად 1939 წლის 1 იანვრისათვის კურსი დაამთავრა 14 კაცმა, დისერტაცია კი მხოლოდ 7 კაცმა დაიცვა.

მეცნიერ მუშაკთა შორის სუსტად მიმდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა. არ ჩატარებულა არცერთი თეორიული კონფერენცია და სამეცნიერო დისპუტი მეთოდოლოგიურ თემებზე. სუსტად იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. აქა-იქ ადგილი ჰქონდა კინკლაობას. სუსტად ხდებოდა შრომის ენტუზიასტების გამოვლინება და მათი წახალისება.

○

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა და საზოგადოება დიდი გულისხმიერებითა და მზრუნველობით ადევნებენ თვალყურს ჩვენს მუშაობას და აფასებენ კიდეც მას. აკად. საქ. ფილიალი სარგებლობს პარტიისა და მთავრობის უდიდესი ყოველდღიური დახმარებით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დიადმა საბჭოთა ხალხმა თავისი ნდობით აღჭურვა ჩვენი თანამშრომლები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია აკად. ნ. მუსხელიშვილი. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულ იქნა აკად. ივ. ჯავახიშვილი. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ჩვენი თანამშრომელი ა. ჭოჭუა. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან აგრეთვე აფხაზეთის სახალხო პოეტი, აფხაზეთის ინსტიტუტის თანამშრ. დ. გულია და მარის სახ. ინსტიტუტის ასპირანტი ბღაჟბა. რამდენიმე ჩვენი მუშაკი საკავშირო მთავრობამ ორდენებით დააჯილდოვა.

ეს დიდი ნდობა და მზრუნველობა ჩვენ უფრო მეტ ენერგიას გვაძლევს შემდგომი შრომისა და წარმატებებისათვის, იმისათვის, რომ დაუღალავად ვიბრძოლოთ ჩვენი მორიგი საორგანიზაციო ამოცანის განხორციელებლად — საქართველოს აკადემიის შესაქმნელად, რომელიც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების აკადემიებთან მჭიდრო კავშირში ახალ მწვერვალებისაკენ წაიყვანს საბჭოთა მეცნიერებას — ყველაზე მოწინავე მეცნიერებას მთელ მსოფლიოში.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი

გუშინ, საღამოს 7 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. ვინერმა.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ თათბირმა ტაშის გრიალში აირჩია საპატიო პრეზიდიუმი. საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი** და **ვ. ბაქრაძე**.

თათბირის დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა — საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს 1939 წლის 25 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჯიბლაძემ.

ამხ. ვ. ჯიბლაძის მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა — კუტალაძემ (ჩოხატაურის სამომხმარებლო კოოპერაცია), ნარშანიამ (ოჩამჩირე), გულიამ (ზუგდიდი), მაკოევმა (სამხრეთ-ოსეთი) და კვარაცხელიამ (აფხაზეთი).

თათბირმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა სოციალიზმის მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებათა გენიალურ ორგანიზატორს — დიდ **სტალინს**, საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხ. **ვ. მ. მოლოტოვს** და სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელს ამხ. **ლ. პ. ბერიას**.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ „ცენტროსოიუზის" პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **ი. ხოხლოვი** და საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ს. ხოშტარია**.

თათბირის შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილის 11 საათიდან. გაგრძელდება კამათი ამხ. ჯიბლაძის მოხსენების გარშემო.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

ბერიას რაიონი

1 ოქტომბერს თბილისის საბჭოს სხდომათა დარბაზში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **ბერიას** სახელობის რაიკომის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. **ნ. ჩარკვიანის** მოხსენება.

— ჩვენი რაიონის შექმნისთანავე, —ამბობს ამხ. ნ. ჩარკვიანი,—ფართოდ გავშალეთ მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. რაიკომმა მოიწვია პარტბიუროების მდივნების და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების საინსტრუქციო თათბირი. განვუმარტეთ მათ მიმდინარე არჩევნების უდიდესი მნიშვნელობა და სირთულე და მივეცით მითითებანი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ჩავატარეთ აგრეთვე თბილისის საბჭოს და რაიონული საბჭოების დეპუტატების თათბირი.

პარტორგანიზაციების ინიციატივით ჩატარდა დეპუტატთა ანგარიშგება. ამომრჩევლებმა დღემდე 16 დეპუტატის ანგარიში ჩაიბარეს. ანგარიში კიდევ უნდა ჩააბაროს 118 დეპუტატმა. ზოგი პარტორგანიზაცია ყურადღებით არ მოეკიდა დეპუტატთა ანგარიშგებას და მათი უპასუხისმგებლობით ამომრჩეველთა კრებები ჩაიშალა. მაგალითად, რუსთაველის თეატრში (პარტბიუროს მდივანი—ვადაჭკორია), „ტექნიკა და შრომის" სტამბაში (ინასარიძე), ქალაქის ბანკში და სხვ.

რაიონში შექმნილია 31 საარჩევნო უბანი და 62 საარჩევნო ოლქი ქალაქის საბჭოს ასარჩევად და 124 ოლქი რაიონული საბჭოების ასარჩევად. დადგენილია ოლქების საზღვრები და მზად არის რუკები. თვითეულ საარჩევნო პუნქტს სათანადო ბინა და საჭირო ინვენტარი მივუჩინეთ.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ სიების შემდგენლების, საარჩევნო კომისიების წევრებისა და ამ კომისიების მდივნების შერჩევას. სიების შედგენისათვის შევარჩიეთ 187 კაცი, ხოლო საარჩევნო კომისიების წევრებად იმუშავებს 1.500 კაცი.

დებულების შესწავლაში ჩაბმულია 18 ათასი მშრომელი. მათ მომსახურებას უწევს 1.428 აგიტატორი.

ამხ. **ჩარკვიანის** მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13 ამხანაგმა.

პლენუმმა დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ს. მ. იშხანოვმა**

კიროვის რაიონი

1 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. **გალუსტოვის** მოხსენება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

ამხ. გალუსტოვმა აღნიშნა, რომ რაიონი უკვე დაყოფილია ოლქებად და საარჩევნო უბნებად. ასობით აგიტატორი ყველგან დიდ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა ამომრჩევლებს შორის. შემდეგ ამხ. გალუსტოვმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. აღწერისა და საარჩევნო სიების შედგენისას გამოტოვებულ იქნა მთელი რიგი ქუჩები, სახლები: № 15 საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა სიების შედგენისას დაშვებულ იქნა გვარების, სახელებისა და მამის სახელის დამახინჯება. ზოგიერთ საწარმოში დეპუტატების ანგარიშგება არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი.

კამათში გამოსულმა ამხ. გევორქოვმა (მკერავი № 2) აღნიშნა რაისაბჭოს არასაკმაო მუშაობა სათანადო კონსულტაციის მოწყობის საქმეში.

რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. იავრიანმა სთქვა, რომ ბევრი აგიტატორი ძალზე აჭიანურებს საარჩევნო დებულების შესასწავლად მოსახლეობას შორის წარმოებულ მუშაობას. აქამდე განმარტებულია დებულების მხოლოდ პირველი თავი.

სულ კამათში გამოვიდა 12 კაცი.

პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ არჩევნების მოსამზადებელი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ე. ჩერქეზიამ.** (საქდესი).

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1. პლატონ ონისიმეს-ძე **ბასილაია,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 2711004, —კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის.
2. გიორგი გიორგის-ძე **ჩხეიძე,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1917 წლიდან, პარტბილეთი № 1503218, — ხალხის მტრისათვის მატერიალური დახმარების გაწევის გამო.
3. გრიგოლ ირაკლის-ძე **კვაჭანტირაძე,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1528713,— თავისი წარსულის დაფარვისათვის.
4. კონსტანტინე მიხეილის-ძე **იაშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1510953, — მუშაობაში საბოტაჟისა და პარტბილეთში სიყალბის ჩადენისათვის.
5. ალექსი ხაჯიმის-ძე **ხარაზია,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0927472, — წარსულში თავისი ტროცკისტული ლაყბობის დაფარვისათვის.
6. ალექსი ილიას-ძე **ფეიქრიშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0927093, — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სპეკულაციისათვის.
7. ივანე სიმონის-ძე **გორშკოვი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1545297, — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული.
8. ზინაიდა მიხეილის-ასული **ჩებოდაევა,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1535806, — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სახელმწიფო სახსრების განიავებისათვის.

პროფ. ა. რაზმაძის ხსოვნას

ათმა წელმა განვლო ა. რაზმაძის გარდაცვალების შემდეგ. დღეს, როცა საქართველოს მეცნიერებამ და კერძოდ მათემატიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია, ჩვენ საშუალება გვაქვს კიდევ უკეთ გავითვალისწინოთ ის მნიშვნელოვანი ღვაწლი, რომელიც ამ საქმეში ა. რაზმაძეს მიუძღვის. ა. რაზმაძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მათემატიკის კადრების აღზრდას და მეცნიერულ კვლევა-ძიების საქმეს ჩვენში. ის იყო საქართველოს უნივერსიტეტის დაარსების ერთერთი ინიციატორი და მისი პირველი მოღვაწეთაგანი. განუსაზღვრელი იყო მისი ენერგია და აღფრთოვანებული სიყვარული მეცნიერების მშობლიურ მხარეში დანერგვის და წინ წაწევის საქმისადმი. ა. რაზმაძე დაიბადა სოფელ ჩხენისში (სამტრედის რაიონი, კულაშის თემი) 1890 წელს. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ხაშურის რკინიგზის ორკლასიან სკოლაში, შემდეგ ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასწავლებლებში. 1904 წ. შევიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მეოთხე კლასში. ოთხი წლის კურსი ორი წლის განმავლობაში გაიარა და სასწავლებელი 1906 წელს დაამთავრა. იმავე წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე, რომელიც 1910 წელს დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელიწადი მასწავლებლობდა საშუალო სკოლაში. 1914 წელს გამოდის მისი პირველი გამოკვლევა. 1917 წელს აბარებს მოსკოვის უნივერსიტეტში სამაგისტრო გამოცდებს.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ის გადმოდის თბილისში, კითხულობს უნივერსიტეტში მათემატიკურ ანალიზის მთავარ საგნებს და მხურვალე მონაწილეობას იღებს მათემატიკური დარგის და საერთოდ უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

ა. რაზმაძე ცდილობდა მათემატიკური დარგი ყოველმხრივ მოეწყო და თავიდანვე საუკეთესო პირობებში ჩაეყენებინა. უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ის თავის მუშაობას ამ მხრივ ძალიან ფართო მასშტაბით აწარმოებდა, ერთნაირად ზრუნავდა ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის და მეტყველების სტილის შექმნისათვის, სახელმძღვანელოების გამოცემისათვის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამეცნიერო ძალების მოწვევისა და მომზადებისათვის და ლექციების საქმის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

თბილისში ჩამოსვლისთანავე, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, ა. რაზმაძე ფართოდ ანვითარებს თავის მეცნიერულ მუშაობას.

1924 წელს ა. რაზმაძე მიემგზავრება ამერიკაში და მონაწილეობს ქ. ტორონტოში მოწყობილ მათემატიკოსთა საერთაშორისო ყრილობაზე, რომელზედაც მოხსენებით გამოდის, ხოლო 1925 წელს იცავს პარიზში სადოქტორო დისერტაციას.

საქართველოში დაბრუნებისას ა. რაზმაძე ენერგიულად განაგრძობს თავის სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობას. 1929 წელს მოულოდნელი ავადმყოფობა სწყვეტს მის სიცოცხლეს მისი მოღვაწეობის გაშლის საუკეთესო ხანაში, როდესაც ის ჯერ კიდევ სავსეა ახალგაზრდული ძალღონით.

ა. რაზმაძის სამეცნიერო კვლევა-ძიება უმთავრესად ეხება ვარიაციათა აღრიცხვას, რომელიც თანამედროვე მათემატიკის ერთერთი მნიშვნელოვანი დარგია. ძირითადი გეზი ა. რაზმაძის გამოკვლევებისა მიმართულია ვარიაციათა აღრიცხვის პრობლემის გავრცელებისაკენ ფუნქციათა უფრო ფართო კლასზე, ვიდრე ეს მანამდე იყო ცნობილი. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ შექმნილი წყვეტილ ექსტრემალთა თეორია, რომელშიაც მოხდენილია ვარიაციათა აღრიცხვის პრობლემის გავრცელება მარტივი ხასიათის წყვეტილ მრუდეებზე და რომლითაც ვარიაციათა აღრიცხვა პირველად გამოყვანილია წყვეტილ ფუნქციათა ფართო ასპარეზზე.

ა. რაზმაძე უდავოდ მიჩნეულია თანამედროვე მათემატიკის ერთერთ გამოჩენილ მოღვაწედ. მისი გამოკვლევები ფართოდ ცნობილია მათემატიკოსთა წრეში და ხშირად მოხსენებულია სპეციალურ ლიტერატურაში.

ა. რაზმაძე დიდი შემოქმედებითი გასაქანის მეცნიერი იყო, დაჯილდოებული ცოცხალი მათემატიკური წარმოდგენით, კერძოდ ძლიერი, ასე ვთქვათ, სიმბოლიური კონსტრუირების უნარით.

ა. რაზმაძის მეცნიერული მოღვაწეობას ახასიათებს იშვიათი მეთოდურობა და სისტემატურობა. ა. რაზმაძის მთელს მეცნიერულ მუშაობას ამჩნევია დაღი მისი ძლიერი ნებისყოფისა და ამგვარივე ძლიერი ნებისყოფის მატარებელ ფიგურად გვევლინება ის ყოველთვის დიდ და პატარა საქმიანობაში. ის ყოველთვის მტკიცედ და შეუდრეკლად იბრძვის მის მიერ დასახული მიზნის განხორციელებისათვის.

ა. რაზმაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში თანამედროვე მათემატიკური კულტურის დამკვიდრების საქმეში. პირველს მას მოუხდა თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ამეტყველება ქართულ ენაზე, მანვე ჩაუყარა საფუძველი ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიას. მრავალი მის მიერ შემოღებული ტერმინი საბოლოოდ შერჩება ქართულ ენას და შერჩება არა მარტო მუდმივ ხმარებისა და შეჩვევის, არამედ საკუთარი ღირსების წყალობით. ა. რაზმაძეს განზრახული ჰქონდა დაეწერა ქართულ ენაზე ვრცელი კურსი მათემატიკური ანალიზისა. მან მოასწრო ამ კურსის მხოლოდ ორი ნაწილის გამოქვეყნება: ანალიზის შესავლისა და განუსაზღვრელ ინტეგრალთა თეორიისა. ამ ნაშრომებით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სასწავლო მათემატიკურ ლიტერატურას ქართულ ენაზე. ა. რაზმაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის ორგანიზაციასა და ცხოვრებაში. ის მტკიცედ იცავდა უნივერსიტეტის მუშაობის მაღალ მეცნიერულ დონეს.

დაუვიწყარია ა. რაზმაძის ლექციები უნივერსიტეტში. ლამაზი და ამასთანავე შეკუმშული და ეკონომიური მეტყველება, ფრაზის მკაფიო ლოგიკური ტონირება, რაღაც შინაგანი სიხარული და საზეიმო ელფერი, რომლითაც მოწოდებულია აუდიტორიისათვის მეცნიერული სიტყვა, ამავე დროს უტყუარი გრძნობა ზომიერებისა ჰქმნიდენ ა. რაზმაძის, როგორც მასწავლებლის ჭეშმარიტად მიმზიდველ სახეს.

ანდრია რაზმაძე არ იყო ისეთი მეცნიერი, რომელიც ჩამალულია თავის ვიწრო მეცნიერულ ნაჭუჭში და არ უნდა მის გარეთ რაიმე დაინახოს. ის კარგად ხედავდა მეცნიერების კავშირს ცხოვრების სხვა დარგებთან და მის დიდ სოციალურ ღირებულებას.

ა. რაზმაძე ისეთ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაგანაც შემდგომ თაობებს რჩებათ არა მარტო გარკვეული მეცნიერული ნაშრომები, არამედ მთელი მომხიბლავი ფიგურა მეცნიერისა, კეთილშობილი და თავგამოდებული მებრძოლისა მეცნიერების განვითარებისათვის და მშრომელთა ფართო მასებში მისი დანერგვისათვის.

პროფ. ლ. გოკიელი

ვ. ი. ლენინის სიტყვის 19 წლისთავისათვის

2 ოქტომბერს, ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბში შესდგა საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი სრულიად-რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მესამე ყრილობაზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვის 19 წლისთავისადმი.

აქტივის კრებამ, რომელსაც 500 ახალგაზრდა დაესწრო, მქუხარე ოვაციებით საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა დიდი **სტალინის** მეთაურობით.

მოხსენებით — ლენინის მიერ კომკავშირის III ყრილობაზე ახალგაზრდობის კავშირის ამოცანებზე წარმოთქმული სიტყვის შესახებ გამოვიდა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი.

ბალტიის ზღვისპირა ქვეყნების პრესის გამოხმაურება

ტალინი, 1 ოქტომბერი (საქდესი). ესტონეთის გაზეთები, განსაკუთრებით „უუს ესტი" და „რახვალეხტი", დაწვრილებით კომენტარიას უკეთებენ საბჭოთა კავშირ-ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტის შინაარსს. ესტონეთის პრესა ერთსულოვნად იწონებს პაქტს, რომელიც არამარტო გამომდინარეობს 1920 წლის მშვიდობიანი ხელშეკრულებისაგან, არამედ კიდეც ანვითარებს მას.—იმ დროს,— აღნიშნავენ გაზეთები,— საბჭოთა რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო ძლიერი საზღვაო სახელმწიფო; ახლა იგი პირველხარისხოვანი საზღვაო სახელმწიფო გახდა, მაგრამ მას არა აქვს ისეთი ნავსადგური, რომელიც არ იყინებოდეს. ახალი პაქტით ესტონეთმა სავსებით გაუმართა ხელი საბჭოთა კავშირს იმით, რომ მას ესტონეთის ტერიტორიაზე დამატებითი თავდაცვის შესაძლებლობა მისცა.

უპასუხებს რა ერთს შვედურ გაზეთს, რომელსაც პაქტი ესტონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დარღვევად მიაჩნია, „რახვალეხტი" სწერს: „ამასვე ლაპარაკობდნენ წინათაც, როდესაც ჩვენ ტარტუსის ზავი შევკარით. მაგრამ 20 წლის განმავლობაში ჩვენ კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდა სსრ კავშირთან".

„უუს ესტი" ასე აფასებს ხელმოწერილი პაქტის თავისებურებებს. „ურთიერთდახმარების ვალდებულება ორმხრივია. მაგრამ ფაქტიურად საბჭოთა კავშირი ყოველთვის დაეხმარება ესტონეთს, როდესაც ჩვენ ვინმე თავს დაგვესხმის; ჩვენ კი საბჭოთა კავშირს მხოლოდ მაშინ ვეხმარებით, როდესაც მას თავს ესხმიან ესტონეთით ან ესტონეთთან უშუალოდ ახლო მდებარე ადგილიდან. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამხედრო თანამშრომლობა ესტონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გათვალისწინებულია მაშინ, როდესაც ორივე სახელმწიფოს უშიშროებას ერთსადაიმავე დროს მოელის საფრთხე. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირს მეტი ვალდებულება აქვს დაკისრებული, ვიდრე ესტონეთს, ვინაიდან იგი უნდა დაგვეხმაროს ყველა შემთხვევაში, როდესაც ესტონეთს თავს დაესხმიან.

პაქტი ითვალისწინებს ურთიერთდახმარებას სამ შემთხვევაში: თუ თავდასხმა ან თავდასხმის საფრთხე მიმართულია: 1) ესტონეთის ან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბალტიის ზღვაში, 2) ესტონეთის ან საბჭოთა კავშირის სახმელეთო საზღვრებზე ლატვიის გავლით და 3) საბჭოთა კავშირის იმ ბაზების წინააღმდეგ, რომლებიც ესტონეთშია. ფაქტიურად ურთიერთდახმარება მაშინ იქნება აღმოჩენილი, როდესაც მტერი თავს დაესხმის ფინეთის ყურეს ზღვიდან ან ხმელეთიდან ლატვიითა და ესტონეთით. ამნაირად, ესტონეთის დახმარება საბჭოთა კავშირისათვის ნაგულისხმევია როგორც თავდაცვა".

პაქტს არავითარი გაუგებრობა არ შეაქვს ესტონეთისა და ლატვიის ურთიერთდამოკიდებულებაში. „რახვალეხტი" ხაზგასმით აღნიშნავს მეგობრულ ურთიერთობას სსრ კავშირთან: „მაგალითად, პალდისკი არჩეულ იქნა ბაზად თვითონ ესტონეთის სურვილისამებრ. თანამშრომლობის ამ ხელშეკრულებამ ისეთი საკითხები გადასჭრა, რომლებიც სხვა ადგილებში საშინელ სისხლისმღვრელ შეტაკებებს იწვევდნენ.

რას შეუძლია კიდევ უფრო აამაღლოს დიდი საბჭოთა სახელმწიფოს პრესტიჟი მთელი მსოფლიოს წინაშე, თუ არ პატარა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ასეთ შესაძლებლობას! საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს წარმოვიდგინოთ მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარების ამაზე უკეთესი მაგალითი".

რიგა, 1 ოქტომბერი (საქდესი). ლატვიის პრესა დიდ ადგილს უთმობს სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას და სსრ კავშირისა და ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტს. „პრავდის" მოწინავე აქ ყველა გაზეთმა გადაბეჭდა. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ მშვიდობიანობის სიმტკიცეს, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპაში ამ ხელშეკრულებებით. მაგალითად, გაზეთი „იაუნაკას ზინიასი" ბეჭდავს „პრავდის" სტატიის ნაწყვეტებს შემდეგი სათაურით: „საბჭოთა კავშირი სავსებით აღიარებს ბალტიის სახელმწიფოთა სუვერენიტეტს". გაზეთი „რიტს" ათავსებს „პრავდის" მოწინავეს შემდეგი სათაურით: „საბჭოთა კავშირი და გერმანია საბოლოოდ შეუთანხმდნენ ერთმანეთს საზღვრის შესახებ, მშვიდობიანობის შესახებ და წესრიგის შესახებ იმ ტერიტორიაზე, სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს ხვდება. ესტონეთთან დადებული ხელშეკრულება უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას ბალტიის ზღვის ნაპირებზე. მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად დასავლეთში, თუ საჭირო იქნება, მიწვეული იქნებიან სხვა მეგობარი სახელმწიფოები".

ჰელსინკი, 1 ოქტომბერი (საქდესი). „ჰელსინგინ სანომატის" ტალინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ მთელი დღის განმავლობაში ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელზე განუწყვეტლივ მოდიოდა დეპეშები და წერილები, სადაც მოსახლეობის სხვადასხვა წრეების წარმომადგენლები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ საბჭოთა კავშირ-ესტონეთის ხელშეკრულების გამო.

ესტონეთის სამეურნეო წრეები ჰფიქრობენ, რომ ახალი სავაჭრო ხელშეკრულება სსრ კავშირთან მნიშვნელოვნად გამოაცოცხლებს ესტონეთის ეკონომიურ ცხოვრებას. ნედლეულის ნაკლებობამ ამ უკანასკნელ ხანებში საფრთხე შეუქმნა ესტონეთის მრეწველობას. ყველაზე ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მინისა და ცელულოზის საწარმოები, რომელთაც, საომარი მოქმედების გამო, გასაღების ბაზრები დაჰკარგეს დასავლეთში.

ახლა უკვე შესამჩნევად გამოცოცხლდა სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. იუწყებიან, რომ სსრ კავშირთან ესტონეთის სავაჭრო ბრუნვა მიმდინარე წლის დამლევისათვის 39 მილიონ კრონას მიაღწევს, მაშინ, როდესაც შარშან იგი მხოლოდ 9,6 მილიონ კრონას შეადგენდა.

საარემაასა და ხიიუმაას კუნძულები

(ცნობა)

სსრ კავშირისა და ესტონეთის რესპუბლიკის ურთიერთდახმარების პაქტის მე-3 მუხლი უფლებას ანიჭებს საბჭოთა კავშირს იქონიოს ესტონეთის საარემაას (ეზელი) და ხიიუმაას (დაგო) კუნძულებზე და ქალ. პალდისკში (ბალტიის ნავსადგური) სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზები და რამდენიმე საავიაციო აეროდრომი.

საარემაა და ხიიუმაა ყველაზე დიდი კუნძულებია მოონზუნდის არქიპელაგისა, რომელიც ფინეთის ყურის გასავლის სამხრეთით მდებარეობს. მათი ფართობი 3.578 კვ. კილომეტრს შეადგენს. ეს კუნძულები ბატონობენ ფინეთისა და რიგის ყურეებში მიმავალ გზებზე და ამით მათ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. განსაკუთრებით საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საარემაასა და ხიიუმაას აქვთ ბუნებრივი ბუხტები და ყურეები, რომელთაც შეუძლიათ გამოდგნენ ფლოტის ბაზებად. აქ მრავალი ისეთი პუნქტია, სადაც სახაზო ფლოტის ბაზების მოწყობაც კი შეიძლება.

ორივე კუნძული მატერიკისაგან იყოფა მუხუს (მოონზუნდის) სრუტით, რომელიც ერთმანეთს უერთებს რიგისა და ფინეთის ყურეებს. მოონზუნდის სრუტეს სამი გასავალი აქვს ზღვაზე, ამიტომ მისი ბლოკირება ძნელია. გარდა ამისა, იგი მოხერხებულია როგორც სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზა.

სიდიდით საარემაას ჰოტლანდის კუნძულს შემდეგ პირველი ადგილი უკავია ბალტიის ზღვის კუნძულებში. მისი ფართობი 2.618 კვ. კილომეტრს უდრის. საარემაა ჰფარავს რიგის ყურის შესავალს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. სორვემის (სვორბე) ნახევარკუნძული, რომელიც საარემაას კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს შეადგენს, მთავრდება ცერელის ისრით, რომელიც მატერიკს სულ 40 კილომეტრით არის დაშორებული. საარემაას გარე მხარეზე მდებარეობს ტაგალახტის საუცხოო უბე, რომელიც მოხერხებულია ყოველი შემადგენლობის ფლოტის ღუზაზე დგომისათვის.

კუნძულის ზედაპირი სავსებით მომარჯვებულია აეროდრომების მოსაწყობად. კუნძულზე მრავალი პატარ-პატარა მარილის ტბა და ჭაობია. ტბებში ყველაზე დიდია სურლახტის ტბა, რომელიც ქალაქ კურესაარის (არენსბურგი) მახლობლად მდებარეობს.

კუნძულს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა არა აქვს.

კუნძულის მთავარი ქალაქია კურესაარე. ამ ქალაქში დაახლოებით 5.000 კაცი ცხოვრობს. სულ კუნძულის მოსახლეობას 55.000-ზე მეტი კაცი შეადგენს.

პირველი იმპერიალისტური ომის წლებში საარემაას კუნძულზე და მოონზუნდის არქიპელაგის სხვა კუნძულებზე მოწყობილი იყო რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველაზე აქტიური ნაწილის ბაზები. 1917 წლის ოქტომბერში საარემაას კუნძული გერმანიის ჯარმა დაიკავა და მის სტრატეგიულ დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ინგლისმა არაერთხელ სცადა ხელში ჩაეგდო მოონზუნდის არქიპელაგი, იგი უშედეგო მოლაპარაკებას აწარმოებდა კუნძულის შესყიდვის შესახებ, რათა ამ კუნძულზე მოეწყო ინგლისის ფლოტის ბაზები.

ხიიუმაას (დაგო) კუნძულს, რომელსაც საარემაასაგან ჰყოფს ვიწრო სელეზუნდის სრუტე, ხოლო მატერიკისაგან — მოონზუნდის სრუტე, უკავია 960 კვ. კილომეტრი ტერიტორია. კუნძულის დასავლეთ ნაწილში გადაჭიმულია ტყიანი ბორცვების ჯაჭვი. ამ რაიონში ნაპირი გემებისათვის მიუდგომელია. ამ ადგილას აღმართულია ორი შუქურა, რომელიც გემებს უჩვენებს აღმოსავლეთისაკენ მოტრიალების ადგილს ფინეთის ყურეში შესვლისას. ხიიუმაას კუნძულის ზედაპირი ვაკეა და დაბლობს წარმოადგენს და მეტად ჭაობიანია კუნძულის შიგნით.

ხიიუმაას კუნძულზე დაახლოებით 17 ათასი კაცი ცხოვრობს.

ხიიუმაას კუნძულს ძალიან დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. XII საუკუნიდან იგი დიდ როლს ასრულებდა რიგის ყურის რაიონში წარმოებულ ყველა საზღვაო ოპერაციაში.

სანავსადგურო ქალაქი პალდისკი (ბალტიის ნავსადგური) მდებარეობს 65 კილომეტრზე ტალინის დასავლეთით. ნავსადგურს საფუძველი ჩაუყარა ჯერ კიდევ პეტრე I. პალდისკს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი დიდხანს რჩება ღიად, ხოლო თბილ ზამთარში სრულიად არ იყინება. პალდისკის ნავსადგური ღრმა და მოხერხებულია დიდი გემების სადგომად. პალდისკი ტალინთან შეერთებულია რკინიგზით. პირველი იმპერიალისტური ომის დროს ამ პორტს რუსეთის ფლოტი იყენებდა როგორც სამხედრო გემების სამანევრო ბაზას.

ამ პუნქტებზე დაყრდნობით და ესტონეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობით, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შესძლებს უზრუნველჰყოს მტკიცე მშვიდობიანობა და სავაჭრო ნაოსნობის უშიშროება ბალტიის ზღვაზე.

ვიბრძოლოთ მაღალი ოსტატობისათვის ლიტერატურაში

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მდივნის ამხანაგ **ა. ფადეევის** მიერ საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის შემოკლებული სტენოგრაფიული ანგარიში

ამხანაგებო! ნება მომეცით საქართველოს მწერლებს და თქვენი სახით საქართველოს მთელ ინტელიგენციას ძმური სალამი გადავცე სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის სახელით! (ტაში).

თქვენი სახით მე მივესალმები იმ ხალხის ლიტერატურას, რომელმაც მსოფლიოს მისცა **სტალინი (მქუხარე ტაში).** იმ ხალხისა, რომელმაც წარმოშვა შესანიშნავ რევოლუციონერთა და სოციალიზმის გამოჩენილ მოღვაწეთა მთელი პლეადა. ქართული ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობა გადაიქცა მთელი საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობად. მე მხედველობაში მყავს არა მარტო გენიალური რუსთაველი, არამედ ისეთი შესანიშნავი მწერლები, როგორიც არიან აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნ. ბარათაშვილი და ყველა მშრომელთა და ჩაგრულთა უკვდავი მეგობარი—ილია ჭავჭავაძე.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა მისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით დიდიხანია გასცდა ნაციონალურ ფარგლებს და საკავშირო სახელი მოიხვეჭა. მე აქ არ დავასახელებ მთელს ჩვენს კავშირში ცნობილ პროზაიკოსებს, პოეტებსა და დრამატურგებს, რადგან მათ შესახებ ამ ყრილობაზე საკმაოდ ითქვა.

კამათს, რომელიც ამ ყრილობაზე გაიშალა, უთუოდ ჰქონდა თვითკრიტიკული ხასიათი, მაგრამ ჩემის აზრით იგი ცალმხრივიც იყო. ასეთ ყრილობაზე უფრო მეტი ადგილი უნდა დასთმობოდა შემოქმედებითს საკითხებს, ჩვენი ლიტერატურის წინაშე მდგომ ამოცანებს. ასეთ საკითხებს დაეთმო კიდეც ადგილი, მაგრამ იმავე დროს დიდი ყურადღება მიექცა ორგანიზაციულს, ლიტერატურასთან დაკავშირებულსა და პირად საკითხებს. ამას თავისი გამართლება აქვს. ეტყობა, მწერალთა კავშირის მუშაობა ამის საბაბს იძლეოდა. მეც ამ საკითხებიდან დავიწყებ.

უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში მწერალთა კავშირის ცხოვრებაში მოხდა შესამჩნევი გარდატეხა მეტი დემოკრატიზაციის გატარებისა და კავშირის მუშაობაში წევრთა მეტი რაოდენობის ჩაბმის მხრივ. მუშაობის გარდაქმნა უკვე ჩატარდა მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, ბელორუსიაში. საქართველოში კი ამას ცოტა დააგვიანდა და სწორედ ამ ყრილობამ უნდა ჩაატაროს ეს გარდაქმნა.

ჩვენი ორგანიზაცია მუდამ დემოკრატიული იყო, მაგრამ მე ვლაპარაკობ ისეთი დემოკრატიზმზე, როცა ლიტერატურის ყოველმა მოწინავე მოღვაწემ მტკიცედ იცის, რომ მას სრული შესაძლებლობა აქვს განახორციელოს თავისი უფლება ლიტერატურული მეურნეობის ხელმძღვანელობაში, გამოიჩინოს თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი. ერთი შეხედვით ეს თითქოს უბრალო საქმეა, მაგრამ სინამდვილეში იგი საკმაოდ რთულია.

რას ნიშნავს ჩვენი კავშირის დემოკრატიზაცია?

უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს სავსებით სწორი დამოკიდებულების დამყარებას პარტიულ და უპარტიო მწერლებს შორის, რადგან ახლა ჩვენ გვყავს პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული ინტელიგენცია. მუშაობა ისე უნდა ავაწყოთ, რომ არ იქნეს დაშვებული პარტიულების მხრით უპარტიოების მიმართ ქედმაღლობა. ძველ პირობებში აღზრდილ მუშაკებს უჭირთ მუშაობის ასე გარდაქმნა.

გარდა ამისა, მუშაობის გარდაქმნა მოითხოვს კოლეგიურობას, კოლექტიურ მუშაობას. ბევრს ძველი ყაიდის მუშაკს უჭირდა ამ კოლეგიურობის გატარება, რადგან მათ უჭირთ ახალი ადამიანების ჩაბმა ხელმძღვანელ ორგანოებში. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად, ლენინგრადში, სადაც ილაშქრებდნენ ახალი ადამიანების ხელმძღვანელ ორგანოებში წამოწევის წინააღმდეგ, რადგან ისინი ამდენ ხანს საზოგადოებრივ მუშაობაში არ იყვნენ ჩაბმულნი. ხოლო როცა ასეთი, თითქოს არასაზოგადოებრივი მუშაკები აირჩიეს პასუხსაგებ თანამდებობებზე, ისინი საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკები აღმოჩნდნენ.

უნდა გადაისინჯოს გარდაქმნის თვალსაზრისით მწერალთა კავშირის ყველა ორგანო, დაწყებული გამგეობით და დასრულებული სექციებით, სარედაქციო კოლეგიებით. კომუნისტები, რასაკვირველია, ითამაშებენ ხელმძღვანელ როლს, მაგრამ მათ უნდა დაამყარონ სწორი დამოკიდებულება უპარტიოებთან. მაშინ საქმე უფრო კარგად წავა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს წრეში, ისე როგორც ხელოვნების სხვა მუშაკთა შორის, ადგილი აქვს ინდივიდუალიზმს, გაბღინძვას, რაც ნაწილობრივ ჩვენი შრომის თავისებურებებით არის გამოწვეული და რაც სავსებით ეწინააღმდეგება ადამიანთა შორის სოციალისტურ დამოკიდებულებას. ეს უარყოფითი თვისებები თანდათან უნდა მოვიშოროთ. უნდა დავნერგოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა, რომელიც მიმართული იქნება არა მარტო ლიტერატურული ორგანიზაციების გაჯანსაღებისაკენ, არამედ თვით მხატვრული, შემოქმედებითი მუშაობის ამაღლებისაკენ. აქ კამათში ხშირად ხმარობდნენ „მეს", ბევრს ლაპარაკობდნენ თავის-თავზე. ეს ეწინააღმდეგება შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების პრინციპს და უცხოა ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის. გენიალური შემოქმედნი მუდამ სასტიკი კრიტიკით ეპყრობოდნენ თავიანთ ნაშრომს. მაგალითისათვის დავასახელებ ლეონარდო და ვინჩის, დოსტოევსკის, მ. გორკის, სტანისლავსკის. ისინი თავიანთი ნაწარმოების ყველაზე სასტიკი კრიტიკოსები იყვნენ და ამიტომაც ჰქმნიდნენ შედევრებს. უნდა გავაკრიტიკოთ ჩვენი თავი, უნდა გავაკრიტიკოთ ერთმანეთი, რასაკვირველია, პრინციპულად, ბოლშევიკურად, საქმიანად. ბოლშევიკურადვე უნდა მივიღოთ კრიტიკა, ე. ი. როცა ჩვენ გვაკრიტიკებენ.

საერთოდ მუშაობის გარდაქმნაში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ლიტერატურულმა კრიტიკამ. ჩვენ ხშირად თავს ვესხმით კრიტიკას. მასში ჯერ კიდევ ბევრია ძველი ჯგუფობანობის ნაშთები. მაგრამ სასტიკად სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ კრიტიკის უარყოფით, გაბიაბრუებით შეიძლება ლიტერატურის მაღალ საფეხურზე აყვანა. კრიტიკის დაუხმარებლად შეუძლებელია ლიტერატურის წინსვლა. ამიტომ კრიტიკოსებისა და მწერლების დაპირისპირება მხოლოდ მტრებისთვისაა სასარგებლო.

დიდმნიშვნელოვანია მეორე საკითხი — კადრების ისე განაწილება, მათდამი ისეთი დამოკიდებულება, რომ უნიჭო, ჩამორჩენილ, დახავსებულ ადამიანებს არ ჰქონდეთ გავლენა მწერალთა ორგანიზაციის ცხოვრებაზე. ჩვენში, სამწუხაროდ, კიდევ არის „რაპის" ნაშთები. „რაპი" ხელოვნურად ჰქმნიდა მწერლებს. ვის არ ახსოვთ მათი ე. წ. „დამკვრელთა გაწვევა ლიტერატურაში". ჩვენს ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ირიცხებიან ისეთი მწერლები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი წესდების ერთ ძირითად მუხლს — კავშირის წევრად შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომლის ნაშრომს დამოუკიდებელი მეცნიერული ან მხატვრული ღირებულება აქვს. ჩვენი ორგანიზაცია შემოქმედებითია, ვისაც არა აქვს მწერლობის უნარი, სხვა საქმე უნდა მოსძებნოს. ჩვენში შრომისათვის დიდი ასპარეზია გაშლილი (ტაში).

იმავე დროს ჩვენ გვაქვს ერთი უდიდესი ფუნქცია: ახალგაზრდა მწერლების აღზრდა. აქ ლაპარაკია არა საერთო ღონისძიებებზე, არამედ კონკრეტული მწერლის აღზრდაზე. ამ საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშოს ჟურნალმა. ჩვენი ჟურნალები ამ მხრივ სუსტად მუშაობენ. რედაქტორები არ სხედან ჟურნალში. ჟურნალის გაძღოლა აპარატზეა გადაბარებული. ჟურნალი უნდა ახდენდეს მწერლის შემოქმედებითს ორგანიზებას. ამხ. ჟდანოვი მიუთითებდა ამის შესახებ. მწერალი თავის ხელნაწერს რომ პირველად ჟურნალში მიიტანს, ჟურნალმა უნდა წარმართოს მისი მუშაობა დაკვეთებით, თემების მიცემით, შემოქმედებითი მივლინებებით. რედკოლეგიები სამაგალითოდ უნდა მუშაობდნენ.

მუშაობის ასე გარდაქმნა ერთბაშად არ მოხდება. ამ პროცესში ჩვენ მოგვეტმასნებიან მტრულად განწყობილი ელემენტები. ეს უნდა გვახსოვდეს და ფხიზლად ვიყოთ. ჩვენს კრიტიკოსებს უნდა ახსოვდეთ, რომ ვულგარულ სოციოლოგიზმთან ბრძოლა არ ნიშნავს იდეურობის უარყოფას. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი იდეების მთლიან, მაღალ-მხატვრულ ფორმებში ასახვას. ჩვენ მოვითხოვთ მაღალ იდეურობას და მაღალ მხატვრულ ოსტატობას.

საქართველოს მწერალთა კავშირმა ახლავე უნდა მოსპოს ზედმეტი უნდობლობა მწერლებისა ერთმანეთის მიმართ. უნდა შეიქნას მეგობრული, ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფერო. მუშაობა უნდა წარიმართოს ისე, როგორც შეშვენის შემოქმედს და არა ისე, როგორც სჩვევია ლიტერატურის დეპარტამენტს. (ტაში).

ამხანაგებო! ეს გარდაქმნა უნდა ჩავატაროთ ბოლშევიკურად, სტალინურად. ამისათვის ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს: პარტიისა და ხელისუფლების დიდი ყურადღება და ზრუნვა, ბეჭდვითი ორგანოები, ლიტერატურული ფონდი. მალე გვექნება ახალი საკავშირო კანონი საავტორო უფლების შესახებ. ერთი სიტყვით ყველაფერი გვაქვს, რომ გავსწიოთ წინ გიგანტური ნაბიჯებით. ჩვენ გვჯერა, რომ ახლო მომავალში საბჭოთა ლიტერატურა საერთოდ და კერძოდ ქართული ლიტერატურა, რომელსაც ასეთი შესანიშნავი კადრები ჰყავს, მოგვცემს მსოფლიო მნიშვნელობის შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომლებიც კიდევ უფრო განადიდებენ ჩვენი სამშობლოს სახელს, მშრომელ კაცობრიობას რომ მიუძღვება წინ ლენინ-სტალინის დროშით! **(ხანგრძლივი ტაში).**

ესტონეთის პრეზიდენტ პიატსის სიტყვა

ტალინი, 1 ოქტომბერი (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა კ. პიატსმა 29 სექტემბერს რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც დღეს ესტონეთის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა.

„ესტონეთს, — განაცხადა პიატსმა, — მტკიცე სურვილი აქვს არ ჩაერიოს დიდ სახელმწიფოთა დავასა და ბრძოლაში. მან გამოაცხადა თავისი მტკიცე ნეიტრალიტეტის შესახებ, და ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ვალდებულებებს, რომლებიც ამ ნეიტრალიტეტით გვეკისრება“.

პიატსი შეეხო სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის ურთიერთდახმარების პაქტს და განაცხადა:

„ურთიერთდახმარების პაქტით ჩვენი სუვერენული უფლებები არ ილახება. ჩვენი სახელმწიფო დამოუკიდებელი რჩება, ისეთივე, როგორიც იგი დღემდე იყო. პაქტის დადება იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი კეთილმოსურნეობას იჩენს ჩვენდამი და დახმარებას გვიწევს როგორც ეკონომიურ, ისე სამხედრო საქმეში. ვფიქრობ, რომ საკითხის ასეთი გადაჭრა ევროპაში არსებული ახლანდელი სამხედრო მდგომარეობის დროს იმის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია, რომ ხელშეკრულების დამდებმა ორივე სახელმწიფომ შესძლო ისე გადაეჭრათ დაძაბული ხასიათის საკითხები, რომ ერთი წვეთი ადამიანის სისხლიც კი არ დაღვრილიყო.

სსრ კავშირის მოთხოვნაში არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიას და ჩვენს გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მდგომარეობას, ცხადი ხდება, რომ ჩვენ შეთანხმება უნდა დაგვედო სსრ კავშირთან. ჩვენ მუდამ შუამავალი ვიყავით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, როგორც სანაპირო სახელმწიფო. ამ როლმა განსაკუთრებული ელფერი მისცა მთელს ჩვენს კულტურასა და ნაციონალურ ღირსებებს. ეს მოლაპარაკება დამთავრდა ურთიერთდახმარების პაქტის ხელმოწერით და იგი იყო ჭეშმარიტად თანასწორი მოლაპარაკება, რომლის დროსაც მოსმენილ და მხედველობაში მიღებულ იქნა ორივე მხარის მოსაზრებანი და წინადადებანი“.

თავისი სიტყვის დასასრულს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დადებული პაქტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რომელიც უზრუნველჰყოფს ესტონელი ხალხისა და სსრ კავშირის ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობას.

ბულგარეთის პრესა სსრ კავშირის პოლიტიკის შესახებ

სოფია, 1 ოქტომბერი (საკდესი). ბულგარეთის დილის გაზეთები აქვეყნებენ გაზეთ „პრავდის“ გუშინდელ მოწინავეს, რომელსაც უკეთებენ შემდეგ სათაურებს: „მშვიდობიანობის პოლიტიკის ახალი ტრიუმფი“, „საბჭოთა კავშირსა და გერმანიას სურთ ქარქაში იქნას ჩაგებული ომის სისხლიანი მახვილი“. გაზეთები განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ მოწინავის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის ახალი ხელშეკრულება გერმანიასთან კიდევ ერთი ბრწყინვალე დამამტკიცებელი საბუთია მშვიდობიანობის პოლიტიკისა, რომელსაც თანდათანობით, მტკიცედ და გულწრფელად ატარებს საბჭოთა მთავრობა. გაზეთები გამოჰყოფენ მოწინავის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ერთი სახელმწიფოს მეორეზე გადაკიდების იარაღს, კერძოდ, წარმოადგენდა სიცოცხლის უნარს მოკლებული პოლონეთი, რომელიც სხვათა მიწა-წყლის მძარცველობით ცხოვრობდა. ყველა გაზეთი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს „პრავდის“ განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი ყურადღებითა და ფრთხილად ეკიდება მცირე ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, რომ გერმანია სსრ კავშირთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს ომის შესაწყვეტად და მშვიდობიანობის დასამყარებლად.

გაზეთი „ზარია“ მოწინავე სტატიაში „ახალი ფაქტები და პერსპექტივები“ სწერს: „ახალი შეთანხმება გერმანიასა და სსრ კავშირს შორის და ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებს წარმოადგენენ და ახალ პერსპექტივებს შლიან მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის. ომი პოლონეთში დამთავრებულია. სსრ კავშირს არ დაუპყრია პოლონეთის არცერთი მტკაველი მიწა და პოლონეთის მიერ წინათ დამონებული ნაწილები უკრაინისა და ბელორუსიისა მათს სამშობლოს დაუბრუნა. ეს ფაქტი სავსებით შეესაბამება იმ უკრაინელ და ბელორუს ხალხთა ეთნოგრაფიულ თავისებურებას, რომელნიც ახლა თავისუფალ ნაციონალურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას დაიწყებენ. წითელი არმიის ნაწილების ყოფნას საზღვარზე კარპატის მთებიდან ლიტვამდე ყველა ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანობა და ნეიტრალიტეტი“.

ჰიტლერმა მიიღო გერმანიის არმიის უმაღლესი თანამდებობის პირნი

ბერლინი, 1 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ჰიტლერმა, პოლონეთის ომის დამთავრების გამო 30 სექტემბერს მიიღო გერმანიის არმიის უმაღლესი თანამდებობის პირნი, რომელნიც საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ პოლონეთში. მიღებას დაესწრნენ: სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი — გენერალ-ფელდმარშალი გერინგი, სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი ადმირალი რედერი, გერმანიის არმიის მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ბრაუხიჩი, შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელი გენერალ-პოლკოვნიკი კეიტელი, სამხრეთისა და ჩრდილოეთის საარმიო ჯგუფების სარდლები გენერალ-პოლკოვნიკი რუნდშტედტი, გენერალ-პოლკოვნიკი ბოკი და უმაღლესი სამხედრო სარდლობის მთელი რიგი სხვა წარმომადგენლები.

ჰიტლერმა მადლობა გადაუხადა მიღების ყველა დამსწრეს ჯარის ხელმძღვანელობაში წარმატებისათვის და სამხედრო ჯილდოები გადასცა სარდლებს.

ჩიანო ჰიტლერთან

ბერლინი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ტრანსოცეანის საგენტო რადიოთი იუწყება, რომ გუშინ ჰიტლერმა მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო. საუბარმა 2 საათსა და 25 წუთს გასტანა. ამ საუბარს დაესწრო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი.

ომის საწინააღმდეგო განწყობილებანი საფრანგეთში

ბერლინი, 1 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „პარიზიდან ცნობები მოდის იმის შესახებ, რომ ომის საწინააღმდეგო განწყობილება უფროდაუფრო იზრდება. მიუხედავად საფრანგეთის ხელისუფალთა და მათზე დამოკიდებული პრესის ღონისძიებებისა, ისინი ვერ ახერხებენ დაარწმუნონ საფრანგეთის ხალხთა მასები დღევანდელი ომის აუცილებლობაში. მთელს საფრანგეთში გაძლიერებით მუშაობენ სამოქალაქო და სამხედრო სასამართლოები, რომლებიც ასამართლებენ ხალხს ომის საწინააღმდეგო განწყობილებისათვის. უკვე გამოტანილია ათასობით განაჩენი იმ პირთა მიმართ, რომელთაც არ ესმით, თუ რატომ უნდა აწარმოოს ომი ფრანგმა ხალხმა. პარიზის მე-4 სასამართლო კამერამ 500-ზე მეტი მკაცრი განაჩენი გამოიტანა მთავრობის საგარეო პოლიტიკის კრიტიკისა და ომის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის. ამ კამერაში ჯერ კიდევ გაურჩეველ საქმეებში არის საქმე იმ 6 მუშის წინააღმდეგ, რომლებიც ომის საწინააღმდეგო ფურცლებს ავრცელებდნენ. უფროდაუფრო იზრდება უკმაყოფილება საფრანგეთის პოლიტიკის გამო კოლონიურ ხალხთა წარმომადგენლებშიაც. ასე, მაგალითად, პარიზში ადგილი ჰქონდა სასამართლო ძიებას არაბული გაზეთის რედაქტორ არაბ ალი შაბანის წინააღმდეგ. ალი შაბანი წარსდგება სამხედრო სასამართლოს წინაშე, რადგან, საფრანგეთის მსაჯულთა აზრით, იგი თავისი ომის საწინააღმდეგო განწყობილებით „ზიანს აყენებდა საფრანგეთის ტერიტორიის ხელუხლებლობასა და საფრანგეთის ავტორიტეტს“. იმავე მე-4 სასამართლო კამერამ ერთერთი სამხედრო ქარხნის მუშას 2 წლის პატიმრობა და 2 ათასი ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა იმისათვის, რომ სახელოსნოში მან თავის ამხანაგს უთხრა, კაპიტალისტების ინტერესებისათვის ბრძოლა საჭირო არ არისო.

მიუხედავად დევნისა, ომის საწინააღმდეგო აგიტაცია საფრანგეთში დღითი-დღე უფროდაუფრო აშკარა ხასიათს იღებს. ყველგან შეგიძლიათ ნახოთ ფურცლები, რომლებიც მოითხოვენ ომის შეწყვეტას. ფურცელი, რომელიც გამოვიდა სათაურით: „დაუყოვნებლივი ზავი“, მთელ საფრანგეთში ვრცელდებოდა“.

საფრანგეთის მშრომელთა მძიმე მდგომარეობა

ჰელსინკი, 1 ოქტომბერი (საკდესი). „უუსი სუომის“ პარიზელ კორესპონდენტს მოჰყავს საფრანგეთის დღევანდელი ცხოვრების ზოგიერთი დეტალი. პარიზში მრავალი ისეთი მცხოვრები დარჩა, რომელთაც არ სურთ ევაკუირება. ბევრი მათგანი მოკლებულია შემოსავალს.

ფრანგი ხალხი, სწერს კორესპონდენტი, დიდ გაჭირვებას განიცდის. საფრანგეთში გამოცემული ახალი კანონით, ზურგში მყოფმა მუშებმა ფრონტზე წასულთა შესაცვლელად კვირაში 6-დან 12 საათამდე უნდა იმუშაონ ნორმის გადამეტებით. ამ შემოსავლის ერთი მეოთხედი სამხედრო ფონდში შედის. გარდა ამისა, მუშებიც ისევე, როგორც მთელი დანარჩენი მოსახლეობა, იხდიან საგანგებო სამხედრო გადასახადს თავიანთი შემოსავლის 4-15 პროცენტის რაოდენობით. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გადასახადი მძიმე ტვირთად აწვება საფრანგეთის პროლეტარიატს.

ამერიკელი ჟურნალისტის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი (საკდესი). ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი პირსონი სწერს, რომ დასავლეთის ფრონტზე არის სულ 15 ათასი ინგლისელი ჯარისკაცი, რომელნიც უმთავრესად მოტორიზებულ და საავიაციო ნაწილებში იმყოფებიან.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი და შანხაელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ხუნანის პროვინციის ჩრდილო ნაწილის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. 28 სექტემბერს იაპონელთა რაზმი, რომელიც 1.000 კაცისაგან შესდგებოდა, შეტევაზე გადავიდა ბაიშუიდან (რკინიგზის სადგური 58 კილომეტრზე ჩანშის ჩრდილოეთით) სამხრეთის მიმართულებით. 29 სექტემბერს იაპონიის ჯარის ორმა კოლონამ მდინარე მიშუი გადალახა და მილოდან სამხრეთის მიმართულებით მიიწევს. ჩინეთის ჯარი მედგარ წინააღმდეგობას უწევს იაპონელებს.

ინდიანის (დუნტინ-ხუს ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე) რაიონში ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ბრძოლა სწარმოებდა იქ გადამსხდარ იაპონელთა დესანტთან.

ბრძოლა გრძელდება ფინსინის (ძიანსის პროვინცია) დასავლეთით. განახლდა ბრძოლა ნანჩანის სამხრეთით.

სამხრეთ ჩინეთში

კანტონის სამხრეთით ბრძოლა ძიანმინის რაიონში სწარმოებს. ამ სექტორში ცალკეული პუნქტები ხელიდან ხელში გადადის.

ჩრდილო ჩინეთში

ჩრდილო ჩინეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები არ არის.



თბილისი. გლისერი მტკვარზე. გლისერი 6-ადგილიანია და ანვითარებს 70 კილომეტრ სიჩქარეს საათში.

ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

გემი „პიონერი“ ჩამოღებულია ქვებიდან და ბუქსირით მოიყვანეს კრონშტადში

ლენინგრადი, 2 ოქტომბერი (საკდესი). წითელდროშოვანი „ეპრონის“ მთავარ სამმართველოში მიღებულია ცნობა, რომ 29 სექტემბერს ბალტიის ექსპედიციის ეპრონელებმა ქვებიდან ჩამოიღეს გემი „პიონერი“. როგორც ცნობილია, საბჭოთა გემი „პიონერი“, რომლის წინააღმდეგ 28 სექტემბერს უცნობმა წყალქვეშა ნავმა იერიში მიიტანა ნარვის ყურეში შესვლისას, იძულებული შეიქნა გარიყულიყო ქვებზე ვიგრუნდის მეჩეჩის რაიონში.

30 სექტემბერს „ეპრონის“ მაშველმა გემმა „სიგნალმა“ გემი „პიონერი“ ბუქსირით მიიყვანა კრონშტადტში.

მოგებათა ტირაჟი ოქტომბერში

ოქტომბერში გაიმართება სსრ კავშირის სახელმწიფო საშინაო სესხების მოგებათა ორი ტირაჟი. 10 ოქტომბერს ქალ. გორკში გაიმართება 1938 წლის სახელმწიფო საშინაო მომგებიანი სესხის მოგებათა მე-8 ტირაჟი. გათამაშებული იქნება 11.360 მოგება 7.668.000 მანეთის რაოდენობით.

დონის როსტოვში 23-24 ოქტომბერს გაიმართება მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მესამე ტირაჟი. ამ ტირაჟში გათამაშდება 610.000 მოგება 96.050.600 მანეთის რაოდენობით.

(საკდესი).

სტალინის სახელობის ავტოქარხნის 8 წლისთავი

1 ოქტომბერს 8 წელი შესრულდა მოსკოვის სტალინის სახელობის ქარხნის ამუშავების დღიდან. ამ წლების განმავლობაში ქარხანა გაიზარდა და გადაიქცა უდიდეს საწარმოდ საუცხოოდ დაგეგმილი კორპუსებით და შესანიშნავი მოწყობილობით. ქარხანამ მანქანების ათობით სხვადასხვა კონსტრუქცია აითვისა. ავტომობილების საშუალო დღიური გამოშვება 22-ჯერ გაიზარდა. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 32 პროცენტით. 8 წლის განმავლობაში ავტოქარხანაში ასობით შესანიშნავი ადამიანი აღიზარდა. ახლა ისინი წარმოების მეთაურები არიან.

წლითიწლობით იზრდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

1 ოქტომბერს საამქროებში შესდგა მოსამსახურეთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა ხალხმრავალი კრებები, რომლებიც მიიძღვნა ქარხნის 8 წლისთავს და ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშათა კოლექტივის იმ წერილის განხილვას, რომელიც „პრავდაში“ გამოქვეყნდა.

(საკდესი).

ხალხური ინსტრუმენტების დამკვრელთა სრულიად-საკავშირო შემოწმება

ხალხური ინსტრუმენტების დამკვრელთა სრულიად-საკავშირო შემოწმების შერჩევით ტურში მონაწილეობა მიიღო 2000-მდე კაცმა. 200-მდე მუსიკოსია შერჩეული შემოწმების მეორე ტურში მონაწილეობისათვის; მეორე ტური 1 ოქტომბერს გაიხსნა მოსკოვში კავშირთა სახლში.

შემოწმება გახსნა ჟიურის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა უზეირ ჰაჯიბეკოვმა.

მუსიკოსები, რომლებიც შემოწმების მეორე ტურში მონაწილეობენ, 60-ზე მეტ ინსტრუმენტს დაუკრავენ.

შემოწმების მეორე ტური 10 ოქტომბრამდე გასტანს. (საკდესი).

მოზარდ მაყურებელთა თეატრების სრულიად-საკავშირო დათვალიერება

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ემზადება მოზარდ მაყურებელთა თეატრების სრულიად-საკავშირო დათვალიერების პირველი ტურის ჩასატარებლად. შეიქმნა დათვალიერების რესპუბლიკური კომისია, რომელიც იმუშავებს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ორდენოსან ამხ. ა. ხორავას ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში შედიან გამოჩენილი მსახიობები, კრიტიკოსები, თეატრალური საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის გაზეთების — „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდოი სტალინეცის“ რედაქციათა—წარმომადგენლები და სხვ.

დათვალიერების პირველ ტურში მონაწილეობას მიიღებს თბილისის მოზარდ მაყურებელთა სამივე თეატრი: ქართული, რუსული და სომხური.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში დათვალიერების პერიოდში განზრახულია უჩვენონ პიესები: გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველი“ და ს. მთვარაძის „სურამის ციხე“.

მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში განზრახულია დაიდგას ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“ და გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“.

მოზარდ მაყურებელთა სომხურ თეატრში დათვალიერების პერიოდში უჩვენებენ შემდეგ პიესებს: „ჩიქორს“, ა. არაქსმანის „ემანველს“ და შილერის „ვერაგობასა და სიყვარულს“.

გარდა ამისა, სამივე თეატრში განზრახულია მოეწყოს საღამოები, სადაც დასდგამენ მათი საუკეთესო დადგმების ნაწყვეტებს.

დათვალიერების პირველი ტური ჩატარდება 1-დან 15 ნოემბრამდე (საქდესი).

რ. ს. გამსახურდიას დაკრძალვა

1 ოქტომბერს რ. ს. გამსახურდიას ცხედარი გადაასვენეს სახ. ცირკის შენობაში, რომელიც სამგლოვიაროდ იყო მორთული.

2 ოქტომბერს განსვენებულის კუბოსთან თავი მოიყარეს ხელოვნების მუშაკებმა, მსახიობებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და განსვენებულის ნათესავებმა. კუბო მორთულია მრავალი გვირგვინითა და ცოცხალი ყვავილებით.

ნაშუადღევის 4 საათზე დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი.

გამოსვენების წინ ცხედართან გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს — ორდენოსანმა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ, წითელი არმიის სახლის სახელით მ. რუდომ, მ. ჩუვალენკომ, ცირკის მუშა-მოსამსახურეთა სახელით მ. ტადემ და მე-63 სკოლის მოწაფემ ნ. ლისენკომ.

საღამოს 5 საათზე კუბო გამოასვენეს, სამგლოვიარო პროცესია ვერის ახალი სასაფლაოსაკენ დაიძრა.

სასაფლაოზე ცხედართან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა შახაზიზოვმა, რის შემდეგაც მოხდა ნეშტის დაკრძალვა.

ჭადრაკი

1939 წლის პირველობაზე

ქუთაისი, (საქდესი). 28 სექტემბერს შესდგა სრულიად-საქართველოს საჭადრაკო შეჯიბრების მე-10 ტური. ხოტელაშვილმა მოუგო მაჭავარიანს, შიშოვმა—ფირცხალავას, ლებედევმა—ასოვსკის. ებრალიძე—ილინ-ჟენევსკისა და კირკიტაძე—ნერსესოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

29 სექტემბერს დამთავრებულ იქნა გადადებული პარტიები. ხოტელაშვილმა მოუგო ფირცხალავას, კირკიტაძემ—ლებედევს. ილინ-ჟენევსკიმ ორი გადადებული პარტია მოუგო ფირცხალავასა და ასოვსკის.

30 სექტემბერს შესდგა მე-11 ტური. ებრალიძემ მოუგო ხოტელაშვილს, ილინ-ჟენევსკიმ—ლებედევს, ფირცხალავამ—კირკიტაძეს, ნერსესოვმა—მაჭავარიანს, ასოვსკი—შიშოვის პარტია ყაიმით დამთავრდა.

თერთმეტი ტურის შემდეგ წინ არის კონკურსგარეშე მოთამაშე ლენინგრადელი ოსტატი ილინ-ჟენევსკი, რომელმაც დააგროვა 8½ ქულა. მეორე ადგილი უკავია შიშოვს (7 ქულა), შემდეგ მიდიან: ებრალიძე (6 ქულა და 2 გადადებული პარტია), ფირცხალავა (6 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ასოვსკი (4 ქულა და 2 გადადებული პარტია) და სხვ.

ჩემპიონატის დამთავრებამდე გათამაშებულ უნდა იქნას კიდევ 7 ტური (საქდესი).

„ბეჩავი“ სპეკულანტი

თბილისში [illegible] ქუჩაზე სახლ № 6-თან ყოველდღე შეამჩნევდით ინვალიდთა [illegible] მოხუც [illegible] ბოლო დროს კამფეტით ვაჭრობდა. მანამდე კი პაპიროსს ჰყიდდა გადამეტებულ ფასებში; მაგალითად, „სოვეტსკის“ ჰყიდდა 2 მ. და 50 კ. „ტემპს“ და „ახალ თბილისს“—3 მანეთად და სხვ. მოქალაქენი, ხედავდნენ რა მოხუცის ბეჩავ გამომეტყველებას, ყურადღებას არ აქცევდნენ მას და ხურდასაც არ სთხოვდნენ.

მაგრამ ეს „ბეჩავი“ მოხუცი, დაამთავრებდა თუ არა პაპიროსით ვაჭრობას, გაუყვებოდა მაღაზიებს და, ესაჭიროებოდა თუ არა, ყიდულობდა ყველაფერს, რაც მოხვდებოდა—შაქარს, ერბოს, ფართალს, ასანთს, ნავთს და სხვ.

შესყიდული საქონლის რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. მის პატარა ბინაში უკვე მობრუნება აღარ შეიძლებოდა, ისე აივსო მოზიდული საქონლით. მიუხედავად ამისა, ბალოიანი მაინც განაგრძობდა პროდუქტების შესყიდვას და ჰყიდდა მათ გადიდებულ ფასებში.

ეს ამბავი არ გამოეპარა მილიციის მე-11 განყოფილების მუშაკებს; მათ გაჩხრიკეს ბალოიანის ბინა და იქ სხვადასხვა საქონლის მთელი საწყობი აღმოაჩინეს.

მთელ რიგ სხვა „წვრილმან“ საქონელს გარდა ბალოიანს აღმოაჩნდა: 63 კილოგრამი შაქარი, 31 კილოგრამი მაკარონი, 18 კილოგრამი ბრინჯი, 43 კილოგრამი ერბო, 26 კილოგრამი ხორბალი, 23 კილოგრამი ყველი, 78 ნაჭერი სარეცხი საპონი, 170 კოლოფი ასანთი, 44 წყვილი ჩულქი და ნასკი, 9 ფუთი ნავთი, 24 კოლოფი პაპიროსი და სხვ. გარდა ამისა, იპოვეს 5 ათასი მანეთი ფულად და ოქროს ნივთები, მათ შორის 3 ოქროს საათი.

მყუდრო ადგილას, იატაკქვეშ ბალოიანს აღმოუჩინეს აგრეთვე დამალული 575 მანეთი მეფისდროინდელი ოქროს ფული და 2000 მანეთი „ნიკოლოზის“ ქაღალდის ფული.

ბალოიანი დაპატიმრებულია და მიცემულია სამართალში.

ვ. სუხიაშვილი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

3 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. კ. ბაქრაძის ლექცია თემაზე: „მარქსი და ენგელსი — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებელნი“. რუსულ ენაზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. კონსტანტინე მათეს-ძე ხულურდავას და ტრიფონ ერასტის-ძე გაბუნიას ორ-სამ დღეში გამოცხადდნენ ამხ. დოთიაშვილთან.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1530378 სოფიო ალექსანდრეს-ასულ ჰაჭანიძის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1546558 გიორგი ლევანის-ძე სანებლიძის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1667033, პეტრე ლუქას-ძე გიორგბერიძის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

შემთხვევები

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი. ხეტყის ქარხნის (თბილისი, კამოს ქ. № 6) მუშა მ. მ. ემელიანოვი (ბარნოვის ქ. № 4) ცირკულურ ხერხზე მუშაობის დროს თავისი გაუფრთხილებლობის შედეგად ხერხის ქვეშ მოჰყვა. ხერხმა მას ფეხი გადასჭრა. ემელიანოვი მოთავსებულია სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში.

გამოძიება სწარმოებს.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — ცამეტნი, **ოქტომბერი**—კატერინა, **დამკვრელი** (საზ.) — პეპო, **დამკვრელი** (ზამთ.)—დედა, **კომკავშირელი** (საზ.)—უკანასკნელი ბანაკი, **კომკავშირელი** (ზამთრ.)—მთის მარში, **სპარტაკი**—1) შემთხვევა პატარა სადგურზე, 2) ივან გოდოვი, **რ. ლუქსემბურგის სახ.**—მთის მარში. **26 კომ. სახ.**—ვაჟკაცობა, **კომინტერნი**—ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდება, **ახალი ამბები** — 1. სტალინური ავიაციის დღესასწაული, 2. ელექტროსანგრევი ურო, 3. სსრ კავშირის ბეწვეული სიმდიდრენი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

3 ოქტომბერს	4 ოქტომბერს	5 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 9	მუდმ. ადგ. ტალ. № 10	მუდმ. ადგ. ტალ. № 11
ქეთო და კოტე	მეფის საცოლე	ტრავიატა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში.
სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

3/X	4/X	5/X
მუდმ. ადგ. ტალონი № 12	მუდმ. ადგ. ტალონი № 13	მუდმ. ადგ. ტალონი № 14
მთაგრეხილზე	ოტელო	არსენა

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ამხ. ბერიას სახ. კულტურის სახლი 1-ლი მაისის ქ. № 10
სახელმწიფო ოპერეტის თეატრის წარმოდგენები

3 ოქტომბერს	4 ოქტომბერს
სილვა	მხიარული ქვრივი
მუს. კომ. 3 მოქმ.	მუს. კომ. 3 მოქმ.

სამხ. ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი დასაწყისი საღ. 9 საათზე.
ბილეთების წინასწარ შეძენა დილის 11 საათ. 3 საათ. საღ. 6 საათ. 11 ს.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექცია აცხადებს მუდმივი ადგილების მქონე საწარმო-დაწესებულებათა საყურადღებოდ,

რომ ა. წ. 10 ოქტომბრიდან დაიწყება 1939-40 წლის მუდმივი ადგილების ტალონების გაცემა. **მუდმივი ადგილების ტალონების მისაღებად პირველი შესატანის დაფარვა სავალდებულოა.**

ტალონების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიაში დილის 12 საათიდან 4 საათამდე.

პირველი შესატანის ცნობა და მინდობილობის ბარათის წარმოდგენა სავალდებულოა.

იყიდება „გაზ-ა“ მარკის მომუშავე მსუბუქი მანქანა.

ცნობებისათვის მიმართეთ—ქალ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 73—რეკლამკანტორას. ტელეფონი 3-35-27.

3255 დირექცია.

საქ. განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლების სამმართველო

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომლებმაც 1932 წლამდე დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, მაგრამ საგნების ჩაუბარებლობის ან სხვა მიზეზით დღემდე არ მიუღიათ დამთავრების დიპლომები, მათი საქმის საბოლოოდ გამორკვევის მიზნით, ა/წ 15 ოქტომბრამდე წარმოადგინონ მატრიკულები თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მათგან არავითარი პრეტენზიები არ იქნება მხედველობაში მიღებული.

უმაღლესი სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ქაჯაია.

387

სარეწაო საბჭოს არტელ „სარეწაო წარმოების“ საერთო კრების დადგენილების თანახმად არტელი „სარეწაო წარმოება“

ლიკვიდირებულია

ა. წ. 24 სექტემბრიდან.

ყოველივე პრეტენზიები ორგანიზაციებისა და ყველა პირებისაგან მიიღება ა. წ. 15 ოქტომბრამდე.

მისამართი: კიროვის ქუჩა № 3.

3304 ლიკვიდკომი.

დაკარგულია სხვადასხვა დოკუმენტები

გრიშა იაგორის-ძე ყველაიძის სახელზე.

მპოვნელს ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 28, „კომუნისტის“ რედაქციას.

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი თბილისის ქეჩის ფაბრიკა

აქტივი ბალანსი 1939 წ. 1-ლი იანვრისათვის (ათას მან.) პასივი

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	644	1	საწესდებო ფონდები	1027
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	1836	2	სპეციალური ფონდები	99
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	17	3	რეზერვები და მოსალოდნელი ხარჯები	3
4	საქონელი და მზა ნაწარმი	1	4	მოკლევადიანი დაკრედიტება	1092
5	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	4	5	ანგარიშსწორება (კრედიტები)	161
6	ფულადი საშუალებანი	94	6	დაგროვება საანგარიშო წლისა	1078
7	ანგარიშსწორება (დებიტორები)	15			
8	მომავალი წლის ხარჯები	45			
9	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებანი	803			
10	საშუალებანი, დაბანდებული კაპიტალურ რემონტში	1			
	ბალანსი	3460		ბალანსი	3460

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1	სხვა დანაკარგები	41	1	დაგროვება საქონლისა და მზა ნაწარმისა	1115
			2	სხვა დაგროვება	4
	სულ	41		სულ	1119
	დაგროვების სალდო	1078		დანაკარგების სალდო	—
	ჯამი	1119		ჯამი	1119

დირექტორი **ბალდასაროვი.** მთ. ბუხჰალტერი **პასტიანიდი.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

748 საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი შ. ჟიფიანი.

უახლოესი ამხანაგები ლომთაძე, სურმავა, გაბუნია, ლიკლიკაძე, სარჯველაძე, ქოხონელიძე, კილურაძე, ჩოძახიძე, კუზანოვი, ბასიაშვილი, რაფაელიანი, პეტროსიანი იუწყებიან ნუცა ზედგინიძის დედის **ვასასის** გარდაცვალებას. 3303

სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკური კლინიკის და ქალაქის I საავადმყოფოს მე-2 თერაპიული განყოფილების ექიმები და ექიმის თანაშემწეები იუწყებიან ექიმ მარო ბეჟაშვილის მამის **გიორგი ბეჟაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3/X 4 ს. მელიქიშვილის 47. 3293

იაკობ ზედგინიძე და ეკატერინე კუპრაშვილი ოჯახებით იუწყებიან **ვასასი ისიდორეს-ასულ ზედგინიძის** გარდაცვალებას. 3286

შვილები ნინო, ბაბუცა, ვალიკო, ქეთო, შვილიშვილები რეზო, ჯემალ ჭიჭინაძეები იუწყებიან საყვარელ **მეფისინე (ფოცია) ბიჭიას-ასულ ჭიჭინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/X 7 ს. გამოსვენება 4/X 5 ს. ბრძოლის, 32. 3294

მეუღლე კატუშა შვილებით ყორა, პავლე და მანია, რძალი თამარა შვილებით ვასო და გუჯა ახალკაცები, სიძე მოსე ცინცაძე, ქვისლი საშა ნაიტაკი, ცოლიდა ანა ნაიტაკი შვილით ელენე და მისი ქმარი გაბო კუპრაძე სიდედრი ტასო ბერიძე, იუწყებიან საყვარელ და დაუვიწყარ **დავით სოლომონის-ძე ახალკაცის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/X შუადღის 4 საათზე ქალაქ ხაშურში.

მშობლები ლავრენტი, ნატალია, და ლუბა, ძმა ვლადიმერ ჩხაიძეები, მეუღლე ნიკოლოზ ჟღენტიაშვილი იუწყებიან, რომ 6/X აბაშაში დანიშნულია **თამარ ლავრენტის-ასულ ჩხაიძე-ჟღენტიაშვილის** პანაშვიდი. 3295

მშობლები ვალიკო, შურა, დაიკო ნელი, ბაბუა გიორგი, ბებია ქეტა იუწყებიან საყვარელ **ჟორა (ჯიმი) მაღლაკელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 6/X. 3297

ბიძა ავქსენტი, ბიცოლა ოლია შვილებით კუკურით და მაყვალათი იუწყებიან ძვირფასი **ჟორა (ჯიმი) მაღლაკელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/X ფოთში. 3298

შვილები ზებედე, ივანე, ალექსანდრე, ნუცა და ევა ოჯახებით იუწყებიან დაუვიწყარი დედის **ბარბალე ივანეს-ასულ ცხვედაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/X ს. კავთის ხევში. 3302

მშობლები აპოლონ, შურა, და ლორა, ძმები გიორგი, ბორის, ბიძები ანდრო, კაპიტონ ცოლშვილით ყაჭეიშვილები იუწყებიან, რომ 6/X 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ **თამრო ყაჭეიშვილის** პანაშვიდი. 3299

შვილები ალექსანდრე, ლადო, სონა, სიძე გიორგი, რძლები ნადია და თამარ, შვილიშვილები მირიან, მერიკო, ანიკო იუწყებიან საყვარელ **გიგა თარიმანის-ძე ბეჟაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3/X 4 ს. მელიქიშვილის, 47. 3300

განსახკომის ფიზ. აღზრდის ინსპექციის თანამშრომლები იუწყებიან მთავარ ბუხჰალტერ ალექსანდრე მიხეილის-ძე ცხვედაძის დედის **ბარბალე ივანეს-ასულ ცხვედაძის** გარდაცვალებას. 3301.

თბილისის აგრო-ბიოლოგიურ სადგურთან არსებული მე-23 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე სკოლის IV კლასის მოწაფის **ბიჭიკო მიხეილის-ძე გვალიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4/X 4 ს. კრწანისის ქ. 14. 3305

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-გ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—645